

საერთო გეგმითი

№25/1 (379) • 15 ივლისი, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო
დამატება



გიორგი კვიციანი:
გვირდებით, რომ „ქართული ოცნების“ თითოეული ნაბიჯი ჩვენი საშობლოს წინსვლასა და სიძლიერას მოემსახურება

ფონდი „ქართუ“ და
ევოქალური გენივწელოვის
პროექტები საქართველოში



გელორ სტურუა:
გოგონა უორეული
საბრაფოდან და
„ვეფხისტყაოსანი“

რა საფრთხეა
ეგუქრება ტექნიკური
უნივერსიტეტის
ვინისქვეშა
ლაბორატორიას?

„ცენტრ-პონტის“
„პონტებისა“
და „დექსუსის“
თუქსუსობათა
უესახებ

SOS! სომეხები აფხაზეთის „არგენიზაციას“ ცდილობენ



„კრუნი“: „სომხური მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ქართული ფაშიზმის წინააღმდეგ... მაგრამ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ის აფხაზური ფაშიზმის წინაშე აღმოჩნდა“

სკანდალური ინტერვიუ,
რომელშიც მსოფლიო ნარკომაფიის
შავბნელი საქმიანობის
გამომგებელ ფაქტებს ამოიკითხავთ

MORPHINE



მათ სურთ მთელი დაღაიენის
მოსახლეობა „ნემსზე უესვან“

რატომ ხდება ასე, ზოგიერთებისთვის საყვარლის
ყოლა, ოჯახის ღალატი, მდიდრული სექსი -
„სვეცკობა“ და მოდაა, ზოგიერთებისთვის
კი სასიკვდილო განაჩენი?

2014-2015 წლებში
საქართველოში
53 ქალი მოკლეს...



სომხურმა ნაციონალისტურმა ორგანიზაცია „კრუნიკა“ მსოფლიოს აუწყა ძირძველ ქართულ მიწაზე - აფხაზეთში „სომხურ ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ შექმნა. ამაზე ცნობას იძლევა გავრეული „Kavkaz Plus“-ი.

„კრუნიკა“ სპეციალური განცხადებაც სახელდახელოდ გამოაცხადა, რომლის ფეხლზე საინტერესო ამონარიდებს გაგაცნობთ. ამ „ისტორიული დოკუმენტის“ ავტორები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთი ერთ-ერთი ფეხლზე პატარა სახელმწიფოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის მრავალფეროვანი: „ჩვენ, სომხები, ამ ქვეყნის ძირძველი მოსახლეობა ვართ, უძველესი დროიდან სომხები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთის სახელმწიფოს განვითარებაში... აფხაზეთის სომხები, მოძვე აფხაზ ხალხთან ერთად, იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, იბრძოდნენ არაბული და თურქული ბატონობის წინააღმდეგ, აფხაზებთან ერთად აფართოვებდნენ აფხაზეთის სახელმწიფოს საზღვრებს სურამის ქედამდე. რუსეთის იმპერიის და საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი უფლებები ილახებოდა, არ გვაძლევდნენ კულტურული განვითარების საშუალებას, კრძა-

ლებობის განდევნის შემდეგ, სომხური მოსახლეობა დამაჯერებელ უმრავლესობას შეადგენს. სომხური ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შექმნის კანონპროექტი გადაეცემა სომეხ დეპუტატებს - ლ.პალუსტიანს და რ. იაიმიანს, რათა ის განხილულ იქნას აფხაზეთის პარლამენტში. ჩვენ, „კრუნიკის“ წევრები, ვიმედოვნებთ, რომ მოძვე აფხაზი ხალხი გაეგებით შეხვდება მრავალტანჯული სომეხი ხალხის მოთხოვნებს და მოგვანიჭებს ჩვენ ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას აღნიშნულ რაიონებში. ეს იქნება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური და ეკონო-

არასახარბილო როლს კი ასრულებს სომხური ფულით მართული, აფხაზური ნაციონალისტური ორგანიზაცია „ამცანარა“. სომეხი ნაციონალისტები აქეზებენ თავიანთ აფხაზ „კოლეგებს“ და „ამცანარას“ წევრებს, დროდადრო, აწყოლებენ არეულობებს, რომელიც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ არმენების წისქვილზე ასხამს წყალს. ასე, 2014 წლამდე აფხაზეთის სომხებს საკუთარი მზაკრული გეგმის განსახორციელებლად ჰქონდათ გარკვეული სირთულეები, კერძოდ, მათი რიცხვი აფხაზეთში (რომელიც მუდმივად მატულობს. გ.კ.) არ იყო საკმარისი სრული პარპაშისთ-

ნიდ ძიანშა. აქაც მთავარ ამრევად კვლავ მოგვევლინა ნაციონალისტური პარტია „ამცანარა“, რომელსაც, ჩვეულებებისამებრ, კოორდინაციას სომხური ორგანიზაციები უწევენ. ამ უკანასკნელებს აფსუა სეპარატისტებთან, ფულის გარდა, ქართველებისადმი სიძულვილი აერთიანებს.

ძიანშას გადაყენებამ დაარწმუნა რადიკალურად განწყობილი აფხაზური დაჯგუფებები, რომ ფორმალური „ხელისუფლების“ და „ძალიან სტრუქტურებისადმი“ შიში მხოლოდ დიმილის მოგვრეული ამბავია და მეტი არაფერია. არეულობის შემდეგი ეტაპი აშკა-

სომხები აფხაზეთის „არმენიზაციას“ ცდილობენ

„ქრუნიკი“: „სომხური მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ქართული ფაშიზმის წინააღმდეგ ... მაგრამ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ის აფხაზური ფაშიზმის წინაშე აღმოჩნდა“



მრავალტანჯული და შრომისმოყვარე სომხური მოსახლეობა კვლავ იჩაგრება აფხაზეთის ხელისუფლების მიერ. ქვეყნის ხელისუფლება მიზანმიმართულად ამცირებს სომხური მოსახლეობის რაოდენობას რესპუბლიკაში, არ გვაძლევს საშუალებას ეკლესიების აშენებისა, არ მიესალმება სომხური სკოლების, თეატრების და კულტურული ცენტრების გახსნას... ამის გამო, ხელახლად შექმნილი ორგანიზაცია „კრუნიკი“ და აფხაზეთის სომხური ინტელიგენცია აცხადებს: აფხაზეთის ძირძველ სომხურ მოსახლეობას აქვს ფეხლა სამართლებრივი

მიკური განვითარების საწინდარი. ეს აქტი უფრო გააძლიერებს ჩვენი უძველესი და მოძვე ერების მეგობრობას“.

თუ აფხაზეთის რა „ძირძველი მოსახლეობა“ და „უძველესი დროიდან“ აქ მცხოვრებნი არიან სომხები და, როგორ „აფართოვდნენ ისინი აფხაზეთის სახელმწიფოს სურამის ქედამდე“, ამის თაობაზე „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში გავესაუბრებით კომპეტენტურ ადამიანებს, ახლა კი შემოგთავაზებთ ზემოთ ხსენებული „Kavkaz Plus“-ის ანალიტიკოსების მოსაზრებას „აფხაზეთის არმენიზაციის“ საშიშროებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში სომხები უკვე ჩამოყალიბდნენ ფეხლზე მრავალრიცხოვანი ეთნიკურ ჯგუფად, მათ, ჯერჯერობით, ვერ ძალუდს, დაამყარონ კონტროლი სეპარატისტული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. სომხების ამ ზრახვებს ხელს უშლის აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად არის დამოკიდებული მოსკოვზე. სომხური ნაციონალისტური ორგანიზაციების მეთაურები მტრულად არიან განწყობილი რუსეთისადმი და აშკარად თანამშრომლობენ დასავლეთთან (განსაკუთრებით ახლანდელი სამდიდანი ყარაბაღის ომის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა უკან დაიბრუნა თავისი მიწის 2000 ჰექტარი. გ.კ.) და აპირებენ გამოიყვანონ აფხაზეთი რუსეთის გავლენიდან. რა თქმა უნდა, სომეხი რა სომეხია, თუ ეს ძალზე სახიფათო საქმის განხორციელება არ მოახერხა სხვისი ხელებით. „სხვისი ხელების“

ვის საქართველოს ამ ისტორიულ მიწაზე, რადგან საპარატისტული აფხაზეთის მოქალაქის პასპორტები ჰქონდათ ეთნიკურ ქართველებს გალის რაიონში. ბუნებრივია, „ქართული ელემენტის“ არსებობა ამუხრუჭებდა აფხაზეთის არმენიზაციას და ამიტომ სომხებმა მიუქსიეს „ამცანარას“ წევრები აფხაზეთის მამინდელ ე.წ. პრეზიდენტს - ალექსანდრე ანჭუაბას - ლოიალურად განწყობილს ქართველების მიმართ. სომხური ფულით გაბერილმა „ამცანარამ“ მოახერხა არა მარტო ანჭუაბასის გადაყენება, არამედ ქართველების „აფხაზური“ პასპორტების გაუქმებაც. საბოლოო ჯამში, ათათასობით ქართველი აფხაზეთში საერთოდ უუფლებოდ დარჩა, სამაგიეროდ, სომხების წილი, როგორც სეპარატისტული წარმონაქმნის „სრულუფლებიანი მოქალაქეებისა“ მკვეთრად გაიზარდა და ამჟამად უმრავლესობას შეადგენს.

დღეს სომეხი ნაციონალისტების წინაშე უფრო „დადი“ ამოცანა დგას - მოახდინონ აფხაზეთის გაწმენდა ... თავად აფხაზებისგან! მხოლოდ ამგვარად შეიძლება შეფასდეს ახლანდელი, 5 ივლისიდან დაწყებული არეულობა სოხუმში, რომლის მსვლელობისას სეპარატისტულ ხელისუფლებას მოუწია დათმობაზეც წასვლა - თანამდებობიდან „დროებით“ გადააყენა შინაგან საქმეთა მინისტრი ლეო-

რად ჩანს - ვითარების კიდევ უფრო გამწვავება და ქაოსის განზრდა. ერთ მუშტად შეკრული სომხებისგან განსხვავებით, აფხაზები გათიშულნი არიან, მამასადამე, რაც უფრო მეტი არეულობა იქნება, მით უფრო გაიზარებენ სომეხი ნაციონალისტები. ქაოსის შემთხვევაში, რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებაც იძულებული იქნება დაეყრდნოს სომხურ სათვისტომოს, როგორც ერთადერთ „მეგნებულ ელემენტს“, რაც სომხებს უნდათ! როცა განუკითხაობა გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, სომხები, „აფხაზ ყაჩაღების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, დაიწყებენ აფხაზეთის ეთნიკურ წმენდას, ზუსტად ისე, როგორც 1992-93 წლებში სომხებმა დაიწყეს ქართველების ეთნიკური წმენდა იმ საბაბით, ვითომ და, „ებრძვიან ქართველ ყაჩაღებს“ „მხედრობიდან“.

ერთი სიტყვით, აფხაზეთი უდიდესი საშიშროების წინაშე დგას. თუმცა, ფეხლზე საშინელია ის, რომ უკან დასახევი გზა აფხაზებს არ აქვთ. თავისი სახელმწიფო მათ ვერ შექმნეს, ხოლო კლანურმა და კორუმპირებულმა სეპარატისტულმა მთავრობამ კრახი განიცადა. რაც შეეხება „ამცანარას“, ის გატყენილია კრიმინალებით. ამიტომ, უახლოეს მომავალში სეპარატისტული აფხაზეთი მასშტაბური კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდება.

მოამზადა გიორგი კორკაძემ



ლაყდნენ სომხურ სკოლებს, არ გვაძლევდნენ საშუალებას სულიერ განვითარებისთვის, რის გამოც არ გვქონდა საშუალება, სომხური ეკლესია აგვეშენებია... სომხური მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა ქართული ფაშიზმის წინააღმდეგ, ათასი სომეხი აფხაზეთის გმირი გახდა, მაგრამ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ისინი აფხაზური ფაშიზმის წინაშე აღმოჩნდნენ...

საფუძველი სომხური ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შესაქმნელად აფხაზეთის რესპუბლიკაში“.

ყურადღებია, რომ სომხები თავისი ე.წ. ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შექმნას აპირებენ გულრიპის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიაზე; „უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონებში ქართული მოსახ-

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილია
გამომცემელი: შპს საგამომცემლო სენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აბაშაძის ქ. 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (თბ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინცივით. შესაძლოა, ავტორის ჰოზიციან არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჰვირის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იხილეთ შპს „საგამომცემლო სენტრი“ მისი, თბილისი, აბაშაძის ქ. 164
☑ 38 ნომერი აღნიშნულია სარედაქციო მასალები.

რა საფრთხე ემუქრება ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსებას ლაბორატორიას?

გასულ კვირას საზოგადოების ყურადღების ცენტრში გიული ალასანიას უნივერსიტეტის სახელით ცნობილი „საქართველოს უნივერსიტეტის“ სტადიონი და იქ განვითარებული პროცესები მოექცა. სტუდენტური საფეხბურთო გუნდის ვარჯიშის დროს, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ტექნიკა და მუშები გამოჩნდნენ, რომლებმაც გაკვირვებული სტუდენტების თვალწინ, მინდვრის ხელოვნური საფარის აღება და გაბურღვითი სამუშაოები დაიწყეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სტადიონის ადგილზე საცურაო აუზის მშენებლობა იგეგმება. სტადიონის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებას უკვე მოჰყვა გამოხმაურება ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა ერთი ნაწილისგან. სტუ სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორის **ანზორ აბშილაძის** თქმით, სტადიონის ქვეშ განლაგებული სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის უნიკალური სასწავლო ლაბორატორია, რომლის ანალოგი

ტების გაკეთება. – განაცხადა **პოპა თოფურია**.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ხსენებული უნივერსიტეტის დამფუძნებელი ყოფილი პრეზიდენტის დედა გიული ალასანია გახლავთ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 2002 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორმა პროფესორმა გიული ალასანიამ და მანანა სანაძემ სტუ-ს ბაზაზე ამერიკათმცოდნეობის ცენტრი დააფუძნეს. ცენტრი მალე გაფართოვდა და 2004 წელს მის ბაზაზე ჯერ შპს „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა“, შემდეგ კი „საქართველოს უნივერსიტეტი“ დაფუძნდა. მალე **გიული ალასანიას** ხელში გადავიდა ტექნიკური უნივერსიტეტის მე-5 კორპუსი (სადაც ამჟამად „საქართველოს უნივერსიტეტი“ განთავსებული) და სტადიონი. 2008 წლის აგვისტოში პრეზიდენტის დედას ტექნიკური უნივერსიტეტის კიდევ ერთი კორპუსი გადაეცა. წინა ხელისუფლების დროს, ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების დატაცებაზე პროფესორ-მასწავლებლებისა და არასამთავრობის პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ თავმჯდომარე იხსენებს, რომ თავის დროზე, მისმა ორგანიზაციამ ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების გიული ალასანიასთვის გადაცემის კანონიერების შესწავლის მიზნით, პროკურატურას რამდენჯერმე მიმართა, თუმცა საგამოძიებო ორგანოები ამ საკითხით არ დაინტერესებულან. **ალექსანდრე კობაიძის** თქმით, მისთვის გაუგებარია, როგორ მოახერხა გიული ალასანიამ ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსების



ჩალის ფასად ხელში ჩაგდება და რატომ არ გახდა ეს საკითხი აქტუალური დღევანდელი ხელისუფლებისთვის.

„საზოგადოებისთვის მშვენივრად არის ცნობილი, როგორ შემოვიდა გიული ალასანია ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და როგორ დაიწყო სიმბოლურ ფასებად ფართობის შექმნა. მალე მის ხელში აღმოჩნდა ტექნიკური უნივერსიტეტის ორი კორპუსი, სპორტული სტადიონი, ყოფილი სასადილო და ა.შ. ჩვენ მაშინაც და ახლაც ვაპროტესტებით სახელმწიფო ქონების დატაცებას, თუმცა ამასზე რეაგირება არც მაშინ და სამწუხაროდ, არც დღეს, არ ყოფილა და ის, რომ დღეს სტადიონის დანგრევის საკითხი დადგა, სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგია. შევახსენებთ, რომ სააკაშვილის დედის მიერ, ერთ ლარად შექმნილ სტადიონზე თაობები ვარჯიშობდნენ და ეს ერთადერთი ადგილია, სადაც მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ახალგაზრდებს ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. წინა ხელისუფლების დროიდან მოყოლებული, ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ პროკურატურას, რომ დაინტერესებულიყო, როგორ მოახერხა ქალბატონმა გიული უზარმაზარი ფართობის შექმნა სიმბოლურ ფასად? როგორ შეიძლება უზარმაზარ კორპუსში გადაიხადო 40 000 ლარი, როცა ამ ფასად ერთოთახიან ბინას ვერ იყიდი? გასაგებია, რატომ არ ინტერესდებოდა ამ ფაქტებით წინა ხელისუფლება, მაგრამ გაუგებარია რა ხდება ახლა. უნდა

გიოთხრათ, რომ დღევანდელი ხელისუფლების დუმილი აჩენს ეჭვს, რომ ქართველი ხალხის ზურგს უკან შედგა გარიგება და სამწუხაროა, რომ ამ ყველაფერს ახალგაზრდები და მომავალი თაობების ინტერესები ეწირება.“

ტექნიკური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სტა-



პაპა აბაბაძე

დიონის ქვეშ განლაგებული ლაბორატორიის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-გეოლოგი და საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **პაპა აბაბაძე**. მისი თქმით, საბჭოთა ეპოქაში ამ უნიკალურ ლაბორატორიას ორმაგი დანიშნულება ჰქონდა: მიწისძვრების და სამთო სამუშაოებთან დაკავშირებული კვლევების გარდა, მას საომარ და საგანგებო ვითარებაში ადამიანების შეფარება შეუძლო. ვაჟა კაკაბაძე დარწმუნებულია, რომ ლაბორატორიის ამოქმედების შემთხვევაში, მეზობელი ქვეყნებიდან და ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა რაოდენობა გაიზარდება, რადგან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საინ-

ჟინრო პროფილის კადრების მწვავე დეფიციტია.

„ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, როდესაც პოლიტექნიკურ უნივერსიტეტის სტუდენტმა მეგობრებმა ჩამიყვანეს და მანახეს სტადიონის ქვეშ განთავსებული უნიკალური, 2 თუ 3 კილომეტრის სიგრძის ლაბორატორია, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთადერთი იყო. აქ ტარდებოდა მიწისძვრებთან დაკავშირებული ცდები, სამთო სამუშაოები და ა.შ. მაგრამ როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ლაბორატორიის მთავარი მიზანი საომარ და საგანგებო ვითარებაში ადამიანების შეფარება იყო. მოგეხსენებათ, 1988 წელს ჩვენს მეზობელ სომხეთი დამანგრეველმა მიწისძვრამ ატომური რეაქტორის დაზიანება გამოიწვია. (მეღია წერდა, რომ სპიტაკის მიწისძვრისას, მიწის გახსნის ადგილიდან გამოიყო ათი ატომური ბომბის აფეთქების ექვივალენტური ენერჯია და თითოეული მათგანი 1945 წელს ჰიროსიმაში მომხდარის მსგავსი იყო. ტალღამ, რომელიც მიწისძვრამ გამოიწვია, დედამიწას შემოუარა და ის დაარეგისტრირეს ევროპის, აზიის, ამერიკისა და ავსტრალიის მეცნიერთა ლაბორატორიებმა. ნ.თ) დღევანდელი, დაძაბული მსოფლიოს პირობებში, ზმირად მიფიქრია, მსგავსი უბედურების შემთხვევაში, მოსახლეობის ევაკუაცია რომ გახდეს საჭირო, მთავრობა ხალხს სად წაიყვანს? რატომ დავკარგეთ რაციონალური აზროვნება, როგორ შეიძლება ასეთი



გიული ალასანია

ევროპის უნივერსიტეტებში არ არსებობს. ამ ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყებამ შესაძლოა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს ლაბორატორიას, რისი დაშვებაც არ შეიძლება – განაცხადა პროფესორმა.

სტადიონზე დაწყებული სამშენებლო სამუშაოების მოწინააღმდეგეთა პრეტენზიებს გამოეხმაურა „საქართველოს უნივერსიტეტის“ კანცლერი: „ეს ტერიტორია არის „საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრება. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით და დავუჭერთ ცხოვრების ჯანსაღ წესს. ამჟამად აქ იგეგმება ჩვენი სპორტული ობიექტების გაუმჯობესება და საცურაო აუზისა და ჩოგბურთის კორ-



ალექსანდრე კობაიძე

როგორც სვია-ნაიბას, ისე მამ უზიფარ ტყუილებს არავინ გაპაპიებთ, „ნაციონალებო“!

„ნაციონალის“ სექტა ყოველთვის რომ გამოიჩინოს უტიფრობით, ახალი ამბავი არ გახლავთ. ბოლო დღეებში ისინი ყოველგვარ ზღვარს გადადიან. ტყუილები და დემაგოგია ხომ მათი ატრიბუტი იყო და დღემდე რჩება. გასაგებია, რომ არჩევნების წინა პერიოდში ყველა პარტია ამომრჩეველთა გულის მოსაგებად დაპირებებს უზავდ გასცემს. ასე იყო ჯერ კიდევ 2003 წელს, როდესაც ნაცები და მათი სატელიტები საქართველოს მოსახლეობას სამოთხეში ცხოვრებას გვპირდებოდნენ, მაგრამ რა სიკეთეც მივიღეთ, კარგად გვახსოვს.

ახლაც ბაქიბუქობენ, ქვეყანა

გია, ცალკეული პიროვნებების წამების პარალელურად ციხეებში პატიმართა მასობრივი წამება იყო დანერგილი, განსაკუთრებით 2006 წლის დასაწყისიდან, როდესაც სასჯელალსრულების სისტემის ხელმძღვანელად ბაჩო ახალაია დაინიშნა. ამის თვითმხილველი თვითონ გახლავართ, სააკაშვილის ციხე მეც უსამართლოდ გამოვიარე. იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ციხის ბუნტის დროს, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გიგა ბოკერია გახლდათ, არასასურველი პატიმრები პირდაპირი დამინებით დაზოცეს. დაღუპულთა რაოდენობა, როგორც ერთ-ერთმა თანამშ-

ბილემი დილიდან 4 საათამდე იყვნენ. დანარჩენ პერიოდში 5 ათასი პატიმარი მხოლოდ ერთი (!) ექტონის იმედად იყო.

თუ პატიმარი 5 ლარს არ გადაიხდიდა, სტომატოლოგი მტკივან კბილს ყოველგვარი გამაყურებლის გარეშე ამოაძრობდა! წამება მეტი რა უნდა ყოფილიყო, „ნაციონალის“ სექტანტები? ღამით საკნებში შესვლა და პატიმრების ცემა წამებად არ ითვლება თქვენი თვალსაზრისით? ერთ-ერთი ასეთი „შემოქმედი“ ახლა ადვოკატია და არასამთავრობო ორგანიზაციაც ჩამოაყალიბა. ყოველივე, რაც ჩამოვთვალეთ, მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებია.



ჩვენ უნდა გადავარჩინოთ და იმდენად გათავხედდნენ, თავიანთი საარჩევნო პროგრამა, ფაქტობრივად, „ქართული ოცნებისგან“ გადაიწერეს. განსხვავებები მხოლოდ რიცხვებშია, მაგრამ ამას რას დაგიდევნენ, ვის უნახავს ან ახსოვს მათი შესრულებული პირობა. თუ რამეს აკეთებდნენ, იმასაც ქვეყნის საწინააღმდეგოდ. არჩევნების წინა პერიოდში ხალხი ტყუილებსმიაჩვიეს, თუმცა მოსახლეობას მათი არაფერი სჯერა.

იქამდე გათავხედდნენ ნაცების ყოფილი მაღალჩინოსნები სამართალდამცავ ორგანოებში განუკითხაობააო, ურცხვად გაიძახიან. სულხან მოლაშვილის გარდაცვალების შემდეგ ნიკა რურუამ თავის ფეისბუქზე დაწერა, იგი ციხეში არავის უწამებია, ყველაფერი ტყუილიაო! მეტი ცინიზმი რა უნდა იყოს! სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაც ფარსი ყოფილა ნიკა რურუას აზრით. ან დავით მირცხულავა რატომ გვავიწყდება, ვერაფრით გამი-

რომელმა იმ დილითვე მითხრა, 12 პატიმარი იყო. აღსანიშნავია, რომ ციხის თანამშრომელმა ისიც თქვა, ეს რიცხვი არასრულიაო, რადგან ისინიც იზოლირებული ჰყავდათ სპეცრაზმელებს.

თავი დავანებოთ იმ გარემოებას, რომ ციხის არეულობის შემდეგ შეიზღუდა ამანათებში პროდუქტების ჩამონათვალი. მთავარი პრობლემა საკნებში პატიმართა წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა გახლდათ. წარმოიდგინეთ, ყოფილ მე-5 იზოლატორში 20 პატიმარზე გათვლილი საკნებში 100-110 ტუსადი იყო! საკნებში გადაადგილება კი არა, სუნთქვა ჭირდა, პირდაპირი მნიშვნელობით!

სწორედ 2006 წლის ზაფხულის 3 თვეში გადახურებით 10 პატიმარამდე იყო გარდაცვლილი! განა ეს მასობრივი წამება არ იყო? განმკითხავი არავინ იყო და ისევ თავად პატიმრები პატრონობდნენ ერთმანეთს. მიმე ავადმყოფებისთვისაც ექიმთან მიღწევა საოცნებო იყო. თუმცა ექიმები მე-5 საპრო-

წამების ყველა ფაქტი, რომელსაც თქვენ ეწეოდით, უამრავია და მათ ჩამოთვლას ტომების დაწერა დასჭირდება.

საქართველოს მოსახლეობა დღევანდელ ხელისუფლებას ნაცებთან კოპატივითაც საყვედურობს. მართალია, რამდენიმე დაპატიმრებულია, მაგრამ ბევრი დამნაშავე დაუსჯელია.

ახლა ეს მწამებლები იქადნებიან, ხელისუფლებაში კვლავ დაებრუნდებითო. თუმცა ქართველი ხალხი ბრძენია და სექტანტ ნაცებს, რომლებიც საკუთარ მოსახლეობას ზოცავდა, აწამებდა, აუპატიურებდა საკადრის პასუხს გასცემს. ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები, რომელთა დავიწყებაც შეუძლებელია. ჩვენ დროს წამება არ იყო, ახლა რომ კნავიან, სიცრუეა და ხალხის აბუჩად აგდება. ამას კი არავინ გაპატივებთ, ვინ და როდის გაგახსენებთ, უცნობია. ამას დარწმუნებით გეუბნებით.

გია გურდული
551 71 27 07

გვავიწყდება, ვერაფრით გამი-



უნიკალური ქონების განადგურება? ბეტონმა შეიძლება აფეთქებას გაუძლოს, მაგრამ სინესტეს ვერ უძლებს და ამის არაჩვეულებრივი მაგალითი არის ჩვენი მეტროს ზოგიერთი სადგური, ამიტომ როგორი დაცულიც არ უნდა იყოს, საცურაო აუზიდან სინესტე მანც გაატანს და მიწისქვეშა ლაბორატორიას გაანადგურებს. აქ საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი.. იმისთვის, რომ უმაღლესმა სასწავლებელმა აკრედიტაცია მიიღოს, აუცილებელია ჰქონდეს სპორტული სტადიონი. საინტერესოა, რის საფუძველზე გაიარა ტექნიკურმა უნივერსიტეტმა აკრედიტაცია თუ სტადიონი აღარ აქვს და როგორ აპირებს „საქართველოს უნივერსიტეტი“ აკრედიტაციის გავლას სტადიონის გარეშე და ყველაზე საინტერესოა, რატომ ვერ ახერხებს 70 თუ 75 მილიონიანი ბიუჯეტის მქონე ტექნიკური უნივერსიტეტი უნიკალური ლაბორატორიის ფეხზე დაყენებას? ამ საქმეს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით რომ შევხედოთ, ლაბორატორიის ამუშავება უნივერსიტეტს ძალიან დიდ მოგებას მისცემს, რადგან უფრო მეტი სტუდენტი ჩამოვა ჩვენი მეზობელი სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და მთლიანად, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რადგან პოსტსაბჭოთა

ქვეყნებში საინჟინრო კადრის დეფიციტს განიცდიან. ხელისუფლებამ და ადამიანებმა, ვისაც ამის ფინანსები გააჩნია და ხელეწიფება, აუცილებლად უნდა იფიქრონ იმაზე, რომ მომავალ თაობებს ასეთი უნიკალური ლაბორატორია შეუნარჩუნონ. ეს დიდი მამულიშვილური საქმე იქნება.“

და ბოლოს, როცა ქართული ფეხბურთის დაღმასვლის მიზეზებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ წინა ხელისუფლების დროს, მარტო თბილისში გაუქმდა და განადგურდა 10 საერთაშორისო სტანდარტული ზომის სტადიონი და ათამდე მაღალი რანგის სპორტული ობიექტი. მათ შორის, 35-ე სკოლის სტადიონი, სპორტის სასახლის უკან მდებარე სტადიონი, „ნორჩი დინამოელის! სტადიონები,

სტუდქალაქსა და ავლბარში მდებარე სტადიონები, „ქარიშხალას“ დარბაზის წინ მდებარე სტადიონი და მრავალი სხვა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, მომავალი თაობის ჯანმრთელობის ხარჯზე ფულის კეთების მსურველთა მადა შესამჩნევად დაცხრა, თუმცა, დროებით...

ნელი თორდია
571 35 36 88



„ცენტრ-პონტი“ „პონტიზისა“ და „დაქსუსის“ თუქსუსობათა შესახებ



რუსუდანს მის დას და დივილის კი უამრავი დაზარალებული ყავთ და სინდისის ქეჯნაც არ აწუხებთ. თითქოს იმ ხალხს რომლებიც ქუჩაში დატოვეს ვალი იქით ქონდათ. ვფიქრობ რუსუდანსაც მოუწევს იმ ციხის ნახვა მიშას, რომ უწონებდა წლების წინ. რაც შეეხება მათ რჩეულიშვილს წინასწარმეტყველური სიზმრები ქონია და იქნებ დაესიზმროს როგორ გაისტუმროს ვალებიც. სამი წლის წინ მაიარჩეულიშვილიმა „ასაკალ-დასავალთან“ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესახებ ნანახი სიზმარი გაიხსენა. „სიზმარში მიშა სააკაშვილის ნახვა ძალიან კარგად მქონდა დაცდილი, როგორც კი ვნახულობდი, რაღაც მნიშვნელოვანს ვიძენდი, იმ პერიოდში, როდესაც გემითკრუიში ვიყავი, სააკაშვილი ისევ დამესიზმრა და ვამოიხსენებოდა ოფისი შევიძინე. ჩემი სიზმრებიდან კიდევ ერთს გაიხსენებ – ჯერ კიდევ რევოლუცია არ იყო მომხდარი, როდესაც პარლამენტის ირგვლივ მოწყობილი კოსტუმირებული კარნავალი მე-სიზმრა, მიშას მასხარის ზოლებიანი ფორმა ეცვა, მოჰქიდა ხელი და წრეში ჩამბა. გავიღვიძე და ვთქვი აუცილებლად

მოვა-მეთქი, მართლაც მოვიდა. დაკავებამდე ჟურნალისტებს მიშას მონატრებულმა მათა რჩეულიშვილიმა განუცხადა, რომ გამომძიებლები მას იმაში ადანაშაულებენ, თითქოს ის ქრთამს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს აძლევდა...თუმცა რამდენი ადამიანი ადანაშაულებს თაღლითობაში მას და მის ოჯახს იმის თქმა გამორჩა. საინტერესოა „დექსუსამდე“ მისულ გამოძიებას რა პასუხს გასცემენ დები, ვანოს ნამუსს შეუნახავენ? ვფიქრობ ბიზნესლელი რუსთავის ციხეში უკეთეს სიზმარს ნახავს, მიშა ისევ ზოლიან სამოსში იქნება გამოწყობილი, ამჯერად მის ხელებს ბორკილები დაამშვენებს, ისევ ერთად იქნებიან, სხვადასხვა ციხეში სიზმარი კი ამჯერად სწრაფად ახდება და მიშას დასიზმრებაც აღარ იქნება სასურველი!

ქეთევან ზარნაზი
599 52 60 30

„ცენტრ-პონტი“ მითი და რეალობა – ანტიკვარიატში, ნიკულინის საძინებელში და შეუფასებელ-შესაფასებელ ნივთებში ჩადებული მილიონები, საკუთარი კეთილდღეობაზე აგებული ბიზნესი და ასობით თაღლითურად მოტყუებული ადამიანი! რჩეულიშვილ-კერვალიშვილების მშენებლობის სილატაკე და ბრწყინვალეობა! თემა, რომელიც წლებია „ტრიალებს“ და თემა, რომლის დასასრულის დასაწყისი ცოტა უცნაურად „ითქვიფება“: ადამიანები, ვინც სხვა ადამიანების უსახლკაროდ დარჩენასა თუ „ჩაპარსვას“ წლებია თვალს ადევნებენ და შიგადაშიგ აპროტესტებენ კიდევ, დღეს ამბობენ რომ თურმე დაკავებულები არ უნდა დაკავებინათ!!!

ყველამ ძალიან კარგად იცის რომ ხალხისაგან თაღლითურად გამოძალული ფულის საკმაოდ მორბილი ლუკმა ნაციონალურ ყუღაბაში ჩაეშვა. ქალი, რომელიც ხალხს ატყუებდა საკანონმდებლო ორგანოში იყო, იმ კანონებს უჭერდა მხარს, რომლითაც მის მიერვე მოტყუებული ადამიანების ახლობლებს აკავებდნენ, აწამებდნენ და კლავენ! აი, იმ დროს, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა, არავის, ვინც დღეს რამდენიმე თაღლითობაში ეჭვმიტანილი დაკავებას აპროტესტებს, ხმა არ ამოუღია! პირქით, ისინი ტაშს უკრავდნენ თაღლითობას!!!



რამდენიმე დღის წინცენტრ-პონტი“ ბათუმის საინვესტიციო პროექტის ხელმძღვანელი ირაკლი მინდელი და გაყიდვების მენეჯერი სალომე ჩარკვიანი დაკავებას „ფეისბუქის“ პირად გვერდზე ჟურნალისტად წოდებული ნანუშა შორაშოლიანი ეხმურება:

„ამ სტატუსს ერთადერთი მიზეზის გამო ვწერ. ეს მიზეზი ბავშვებია! ერთი საბას კლასელია. 7 წლის! რომელსაც თვალწინ დედა დაუჭირეთ. იმ მიზეზით, რომ „ცენტრპონტი“ თანამშრომელი იყო და რა მნიშვნელობა აქვს მიზეზს. შვილების თვალწინ აიყვანეთ დედა!

თქვენ ამბობდით, რომს წორედ ასეთი ფაქტების გამო იყვნენ ნაციონალები საღისტები. თქვენ ამბობდით რომ ეს უნდა დამთავრებულიყო. ისევე როგორც ამბობდით ბევრ რამეს, მაგრამ ახლა ის ბევრი რამე, რასაც ამბობდით

სულარ მადარდებს. მხოლოდ იმ ბავშვებზეც ფიქრობ, რომლებსაც ძალიან ცუდად მოექცით“.

საინტერესოა პოზიციაა, თურმე რაკი „ერთი საბას კლასელია“, ამიტომ უნდა დაიცვას დაკავებული ჟურნალისტად წოდებულმა, რომელსაც, ალბათ, ობიექტურობაზე აქვს პრეტენზია!

სალომე ჩარკვიანი შეიძლება მართლაც გაუგებრობაში მოჰყვას, მაგრამ ნაკოდუარს, რომ შვილების თვალწინ დედის დაკავება უკვირს მართლაც საკვირველია. რატომ ჰქონია ამ ქალს, ხალხს სკლეროზი აქვს და დაავიწყდა როგორ აკავებდა მისი გარეყარი,



მკვლელი და „ბარიგა“ ნაქმარევი დედებს შვილების თვალწინ და მარტო აკავებდა? ცემდა, მარცხავდა თავის ტურების ხროვასთან ერთად, ნათლობის ჯვრებს და ქორწინების ბეჭდებსაც კი არ ტოვებდნენ დაწოკებულ ოჯახში და ათასგვარ სისამაგლეს სჩადიდნენ. შვილების თვალწინ მათ თოფურაის დაპატიმრებაც არ ახსოვს და კიდევ უამრავი ქალის, ნაკოდუარს ეტყობა ამნებია აქვს, მეტიც ნანულის გონია რომ ნაცების მიერ დაპატიმრებულ ქალებს პლასტმასის შვილები ჰყავდათ და არ სტკიოდით.

ეგებ ნანული „დაცვით“ იმ-იტომ დაკავდა, რომ გული უგრძობს ახლოვდება ის დრო როცა მოუწევს პასუხი აგოს, ნაქმარევიან ერთად, ცოდვით დამძიმებულ წარსულზე.

შევენიერად იღებდა ნაძარცვ ქონებას გარეყარი კოდუასგან,



რამდენიმე დღის წინ მაგდა პაპიძეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. რამდენიმე დღის წინ საუბრობდნენ, რომ ამით ოჯახური ძალადობა და განსაკუთრებით მკვლელობით დასრულებული ოჯახური ტრაგედიები შემცირდებოდა...

მე მჯერა იმედების, ოცნებების, ზოგჯერ რომანტიზმისაც, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მთავარი რეალობაა...

რამდენიმე დღის წინ თეთრიწყაროს რაიონში ქმარმა ცოლს ყურები დააჭრა... განა ყურებზე ხახვი დააჭრა, არა, პირდაპირი გაგებით, ყურები დააჭრა... სასტიკად აწამა, ყურები დააჭრა და მოკლა სტუმარი მამაკაციც, რომელიც ქალს გამოესარჩლა...

მეზობლები ამბობენ, ცოლს ეზოს გარეთ გასვლის ნებასაც არ აძლევდა, სამი შვილის დედას მუდმივად სცემდა ბავშვების თანდასწრებით...

ბოლო ორი წლის მანძილზე ძალიან ბევრი ქალი იქნა მოკლული და მკვლელობის მიზეზი ან შურისძიება ან ეჭვიანობა... მინდა ყველაზე მძიმე შემთხვევები გაგახსენოთ... პრინციპში, გაგახსენოთ კი არა, მოგიყვებ, იმიტომ რომ მაგდა პაპიძის საქმისგან განსხვავებით, ამ მკვლელობების „გაპაიარება“ არ მომხდარა... უმეტეს შემთხვევაში, მკვლელის სახელი და

რომელი იყო, ხალხის თვალწინ მოკლა... მკვლელობამდე სალომემ მიმართა ზესტაფონის პოლიციას, პროკურატურას და შსს-ს გენერალურ ინსპექციას და მოძალადისგან დაცვა ითხოვა... მოძალადის შესაჩერებლად კანონით გათვალისწინებული არც ერთი ზომა არ გატარებულა...

ქვემო ქართლში 46 წლის მუსტაფა ა.-მ ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა 41 წლის მუხლექი, მკვლელობის იარაღი იყო ბოქლომი, რომელიც იმდენ ხანს ურტყა თავის არეში, სანამ სიცოცხლეს არ გამოასალმა...

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის სპეციალისტი 27 წლის სოფო ზურაბიანი ყოფილმა ქმარმა

რის ჩხუბი მხოლოდ სულელს ჰგონია ჩხუბი? თუ საქართველოში ცოლი მართლა საკუთრებაა და გინდ ყურებს დააჭრი, გინდ ბოქლომს ჩაართვამ და გინდა მანქანით გადაუგლი?

ჰო, აქ არის საზოგადოების ვალდებულება... ტრაგედიის შემდეგ ხომ საუბრობენ ცემის და ძალადობის ფაქტებზე? და რატომ არავინ მიმართავს ყველა საცოდავი ქალის პირველივე წამოკვივებაზე სამართალდამცავებს...

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით 2014-2015 წლებში საქართველოში 53 ქალი მოკლეს...

უმეტესი მათგანი ქმრის ხელით გარდაიცვალა, დანარჩენ შემთხვევებში: შვილიშვილმა ბებია, მა-

ღება დაგვეზარა, მათი მკვლელობის მხოლოდ 7 წლით (4 წლითაც კი) თავისუფლების აღკვეთა არ გავაპროტესტებ.

არა, ზოგმა თქვა... ვერ დაეუკარგავ... ზმა გაიღო... პირი გააღო, ან კლავიატურას მიუჯდა და განაცხადა: მეტის ღირსნი არიანო... კაცს რომ აეჭვიანებ, რა გგონიაო?... ქმარს რომ გაშორდები და საყვარელს გაიჩენ შეილიანი ქალი, მოგკლავს ქმარი, აბა, რაო?... უმიზნოდ არავინ ეჭვიანობს და უმიზნოდ არავინ კლავს ცოლსო!...

ჰო, ალბათ... მაგრამ, მე პირიქით მასწავლეს – „კარგ კაცს ცოლი არ გაუბოზდებო“...

საოცარი საზოგადოება ვართ, საოცარი... ყოფილი მინისტრი ქალბატონის (რომელსაც ქმარიც

აკი, თქვენ ყველანი დიპლომიანები ხართ... დიპლომიანები ხართ და ბირჟაზე დგახართ... ბირჟაზე დგახართ და დიპლომიან ტაქსისტებს დასცინით...

დიპლომიანები იმიტომ კი არ ხართ, რომ სწავლა და ცოდნა გწყოოდით, იმიტომ ხართ, რომ თავის დროზე დედა და მამამ წელზე ფეხი დაიდგა და დათუვრად შეგაყოფინათ თავი რომელიმე უნივერსიტეტში... მერე მექრთამე ლექტორებმა და პროფესორებმა ასევე დათუვრად დაგიწერეს ჩათვლები...

ამიტომ არ იცი შრომის ფასი... არც ცოლის ფასი იცი... მე თუ მკითხავ, არც ცხოვრების ფასი იცი... ამიტომ გაქვს სექსი ცოლთან პურიტანულად, ისიც თვე-

რატომ ხდება ასე, საქართველოში საყვარლის ყოლა, ოჯახის ღალატი, არატრადიციული სექსი, მდიდრული სექსი - ზოგიერთებისთვის „სვეცკობა“ და მოდაა, ზოგიერთთათვის კი სასიკვდილო განაჩენი?



გვარაც კი არ დასახლებულა და ინიციალებით მოიხსენიებდნენ სამართალდამცველები... მართალია, მკვლელსაც აქვს თავისი უფლებები... სწორია, დემოკრატიულ ქვეყანაში მკვლელის უფლებებიც უნდა იყოს დაცული... მერე რა, რომ ყველა მკვლელის უფლებებს ვერ და არ ვიცავთ... მერე რა... მაგრამ ამაზე სხვა დროს... ახლა კი გასული ორი წლის მკვლელობებს:

ორხევის ხიდის მიმდებარედ ქმარმა ეჭვიანობის ნიადაგზე ცოლი საკუთარ ავტომანქანაში დაინთ მოკლა... გარდაცვლილი ოთხი შვილის დედა იყო და თბილისის მე-3 ბაგა-ბაღში აღმზრდელად მუშაობდა...

მოსკოვის პროსპექტზე 33 წლის ლამა მთფაურმა ორი მცირეწლოვანი შვილის დედა 26 წლის ყუყუნა ინაშვილი მოკლა და ცხედარი სკვერში დატოვა...

ფონიჭალაში 26 წლის ნოვრახ ა.-მ 20 წლის მუხლექს კიუნაი ი.-ს ყელი გამოჭრა...

ოზურგეთში 29 წლის ნატალია ბეჟანიშვილი ქმარმა ცუდით მოკლა... შემდეგ გვამს ცეცხლი წაუკლდა...

ალექსანდრე ცოცხაშვილმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა და მიიძალა... ალექსანდრე სპეცრაზმელი იყო და იარაღის ტარების უფლება ჰქონდა...

სოფელ ოჩხამურში ქმარმა 12 წლის შვილის თვალწინ ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა 8 შვილის დედა... ცოლი, რომელიც მეცხრე შვილს ელოდებოდა...

საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერხვიანში ქმარმა ცოლის მოკვლა ჯერ იარაღით სცადა, მას შემდეგ რაც გასროლა ვერ მოახერხა, ცოლს ავტომანქანით გადაუარა და ბოლოს და ბოლოს საწადელი აისროლა.

მოკლული ცოლების, დედების (თერჯოლაში, მაგალითად, მამაკაცმა დედა მოკლა ბლაგვი საგნის ჩარტყმით, ხოლო ვაკეში ყელი გამოჭრა შვილმა დედას) - ზოგადად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების ისტორიები უამრავია... თითოეული ისტორია ცალკე აღებული - საზარელია... ყველა ისტორია, ისინი, რომლებიც დავასახელებ, და ისინი, რომლებიც ვერ დავასახელებ, იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, აღმოფოთებას, საჭირო ზომების მიღებას, ქელთა დამცველი ორგანიზაციების გააქტიურებას. თუ საქართველოში დღემდე ვფიქრობთ, რომ ცოლ-ქმ-

მამთილმა რძალი, მამლა რძალი, სიმე - სიდერა და ბიძამ დისშვილი მოკლა...

მკვლელებიდან მხოლოდ ორი იყო ნასამართლელი, 2 კი ამნისტირებული... დანარჩენნი კანონმორჩილი მოქალაქეები ბრძანდებოდნენ...

5 მკვლელი შეურაცხად აღტყვევდა...

ყველაზე მაღალი სასჯელი იყო 15 წელი, ისიც მხოლოდ ერთ პირს მიესაჯა, 12 წელი მიესაჯა - ორს, 11 წელი - სამს, დანარჩენებს 7-დან 9-წლამდე...

ერთ ბრალდებულს კი სულაც 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა...

5 ბრალდებულთან სასამართლომ პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა...

მათ მიერ მოკლული ქალები იყვნენ დედები, ცოლები, დები, შვილები, ბებიებიც კი...

ცივილიზებული ტყვეები, რომლებიც წლების მანძილზე იტანდნენ ძალადობას...

ჩვენ კი ჯერ მათ ძალადობაზე დავხუჭვით თვალი, მერე მათი მკვლელობის ამბავი გაუუშვით ყურიდან ყურში...

რატომღაც მათ მკვლელობებზე ფიქრი არ მოვისურვებთ, მათ ისტორიებზე სასაუბროდ პირის გა-

ჰყავდა და შვილებიც) სექსუალური ვიდეო რომ დაიღო (პრინციპში რა სექსუალური ეგ ვიდეო იყო, ბიჭი იწვა გაშეშებული და ჩვენი საკმაოდ სოლიდური ასაკის მინისტრი ჟონგლითობდა პატარა ბიჭის „პასპორტთან“), გაგვიფიქრეთ და გადავიჩინოთ... ოპ, მეც მყავს საყვარელი ინვა გრიგოლიამ, აუფ, მე საერთოდ მდიდრული სექსი მაქვსო - პრეზიდენტმა, მერე რა მოხდაო...

რატომ ხდება ასე, საქართველოში საყვარლის ყოლა, ოჯახის ღალატი, არატრადიციული სექსი, მდიდრული სექსი - ზოგიერთებისთვის „სვეცკობა“ და მოდაა, ზოგიერთთათვის კი სასიკვდილო განაჩენი...

ეს ქალი ბოზობდაო... ჩემთან ბოზობდაო, თქვა ოთო ბერძენიშვილმა, ჩემთან, ვინც წელიწადნახევარი ვხვდებოდი, ჩემთან, ვისაც თბილ მისიჯებს მწერდა, ჩემთან, ვისაც ფინანსურად მეხმარებოდაო... და ჩვენი მინისტრის სექსი რატონ იყო, აბა, მისაბაძი და რატომ სკანდირებდით, ეს შენ გეხებაო?!

უკაცრავად, მაგრამ თუ მინისტრის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს გამოშვებობა ამაზრუნენია, დახურული სასამართლო პროცესიდან რომ მოწმის ჩვენება უცებ ჩნდება გაზეთის ფურცლებზე - ეს არ არის ამაზრუნენი? ეს არ არის პირადი ცხოვრება?

უმიზნოდ არავინ კლავს ცოლსო...

მართალია... გეთანხმებით... ქალებმა ამის მიზეზი დიდი ხანია მოგვცით...

იცით როდის? როცა გადაწყვიტეთ რომ ბაზარში ვაჭრობა არ გეკადრებოთ, როცა ბირჟაზე დგომა მოიფიქრეთ, როცა სხვის კი არა, საკუთარ დედაზე დაიწყეთ გინება, როცა მამაკაცის ცოლთან წოლა ნორმალურად მიიჩნით, როცა მშვიერი და შიშველი შვილის ყურებას ვიგარო არ აგიწყათ და ფიზიკური შრომა მინც იუკადრისეთ,

ში ერთხელ და ამიტომ გაგირბის თვალის სხვისი ცოლისკენ, სხვისი დისკენ, სხვისი დედისკენ...

... და როცა ცოლს აღარ შეუძლია მშვიერი და ტანსაცმელმეოფლეთილი შვილის ყურება, მიდის ლუკმა-პურის საშოვნელად... ზოგი საკუთარ ქვეყანაში ათევეს დაძვს სხვის ლოგინში, ზოგი სხვა ქვეყანაში მიდის მოსუცის მოსავლელად და სამთხოვროდ...

„მარლბორო“ არ მოიკლო იმათი გამოგზავნილი ფულით, „მარლბორო“...

აი, ამიტომ გგონია ცოლი საკუთრება... მოეშვიდა? - კი, ბატონო, მოგართვა და არ გიკითხავს, საიდან?... შეცვივდა? - კი, ბატონო, გაგათბო და არც ამჯერად დაფიქრებულხარ, როგორ?... ექიმო და წამალი დაგჭირდა? - ვაიძე, ცოლო... და დარბის, დარბის ფეხებდასიებული, თმაგაჭაღარავებული, ხელებგაუხეშებული, ჩაუცმელი, მოუვლელი ცოლი...

ღმერთმა არ ჰქნას და ერთ მშვენიერ დღეს შეგვაპასუხოს...

ღმერთმა არ ჰქნას და ერთ მშვენიერ დღეს თმა შეიღებოს, ახალი კაბა იყიდოს, მანიკურ-პედიკურზე ჩაეწეროს...

იეჭვიანებ, გაბრაზდები, ცემ და ბოლოს მოკლავ...

ან გაშორდები (თუ თავად გაგშორდება), წავა შენგან, უშვებ ბედნიერი და მომდომარი იქნება... იეჭვიანებ, გაბრაზდები, შურს იძიებ, ცემ და ბოლოს მოკლავ...

მოკლა და ჩაჯდები ციხეში 7 წლით, 9 წლით, 4 წლითაც კი... ციხეში, სადაც, ადრე პატიმრები თავად უსწორდებოდნენ ქალებზე მოძალადეებს, ახლა კი, სავესა იქაურობა შენაირებით და ხმას ვინდა გაგცემს უბატონოდ...

თუ ვადაზე ადრე არ გამოხვედი, 7 წელიწადში, 9 წელიწადში, 4 წელიწადში გამოხვალ და ახალ ოჯახს შექმნი, რომ ისევ იძალადო, ისევ აწამო, ისევ მოკლა...

თაშუნა კომპლავა 555 46 08 04

ბიორგი კვირიკაშვილი: გვირდებით, რომ „ქართული ოცნების“ თითოეული ნაბიჯი ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და სიძლიერის მომსახურებასა და სიძლიერის მომსახურებას

„მჯერა, რომ მთავრობის მიერ დატანილი საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ განახლებული გუნდით, არსებული გუნდის წევრებთან ერთად ისევ დამაჯერებლად გაიმარჯვებს. ამის რწმენას მაძლევს ჩვენი ერთობა, შემართება, კონკრეტული მიზნები, მომავლის მკაფიო ხედვა. გპირდებით, რომ „ქართული ოცნების“ თითოეული ნაბიჯი ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და სიძლიერის მომსახურებას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საგურამოში „ქართული ოცნების“ ახალი წევრების წარდგენაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მოგესალმებით იმ ადგილიდან, რომელიც ყველა ქართველში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. აქ განსაკუთრებულად იგრძნობა ის პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომელიც თითოეულ ქართველს გვაკისრია სამშობლოს წინაშე, რადგან ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით, ყოველი თავისი სიტყვითა და ნააზრევით სამოქმედო გეგმა და შეგონება დაგვიტოვა ერს.

დღევანდელი ჩვენი თავშეყრით საგურამოში, აქ, სადაც ილიას უკვდავი სული ტრიალებს, გვინდა, პირველ რიგში, საკუთარ თავს და ქართველ ხალხს დავეუბნოთ, რომ დიდი ილიას გზის, მისი ღირებულებების ერთგულნი ვიქნებით, ძალ-ღონეს არ დავიშვებთ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის სამსახურისთვის. ჩვენ არ გადავუხვევთ ქართველი ერის ისტორიულ არჩევანს და მტკიცედ ვივლით ევროპისკენ,

განათლებული და წარმატებული საქართველოსკენ. ისევ ილიას სიტყვებს მოვიშველიებ, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი. დღეს ჩვენს თაობას პატივი ერგო, იყოს ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი, ისტორიული, პოლიტიკური პროცესების მონაწილე. დღეს ყველანი ერთად გავდივართ იმ გზას, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს დემოკრატიული და ევროპული მომავალი. ჩვენ, როგორც მმართველ გუნდს, აღებული გვაქვს პასუხისმგებლობა, რომ ქვეყანა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ, ფეხზე დავაყენოთ ეკონომიკა და ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი ხალხის, თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობის მიზნით.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ თქვა ილიამ, „ყოველი წვობილება, რომლის ძალითაც მოქმედებს მთელი კაცობრიობა, იმით არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს“. ეს სიტყვები ჩვენი გზის სისწორეს ადასტურებს. ჩვენი ხელისუფლება ისეთ სახელმწიფოს აშენებს, რომლის ცენტრშიც გახლავთ ადამიანი და მისი ღირსება. „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო და 4 წელიწადში სირთულეების მიუხედავად, საფუძველი ჩაუყარა ფუნდამენტურ ცვლილებებს მრავალი მიმართულებით, რომლებიც სულ მალე თითოეული ადამიანისთვის ხელშესახები გახდება. ხელისუფლების ვალ-



დებულებაა, ემსახუროს ხალხს და ჩვენ ვცდილობთ, ბევრი არ ვილაპარაკოთ გაკეთებულ საქმეებზე, რადგან ხალხი ამას ისედაც ხედავს. როგორც ილია ამბობს, ჭეშმარიტ ღირსებას ვვირილი არ უნდა.

დღეს ქართულ პოლიტიკას ახალი ენერჯია, ახალი ხედვა სჭირდება. დღევანდელი რეალობა ახალ დღის წესრიგს, ახალ მოთხოვნებს გვიყენებს, რომელსაც ჩვენი პარტია განახლებული გუნდით ხედავს და მზად არის, უპასუხოს ყველა გამოწვევას. დღეს მინდა წარმოგიდგინოთ ის ადამიანები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, დადებით მუხტს შემოიტანენ არა მარტო „ქართულ ოცნებაში“, არამედ ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში. ქვეყანას მხოლოდ

მაღალი ღირებულებების ერთგული და სახელმწიფოებრივად მონაზრინე ადამიანები აშენებენ. სწორედ ამ ნიშნით შევარჩიეთ ჩვენი გუნდის ახალი წევრები, რომლებსაც ზურგს კარგი რეპუტაცია უმაგრებთ, საუკეთესო განათლება და მაღალი პროფესიონალიზმი. მინდა გითხრათ, რომ თითოეული მათგანი მზად არის, საკუთარი ცოდნა ქვეყნის სამსახურს მოახმაროს. მჯერა, რომ მთავრობის მიერ დატანილი საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ განახლებული გუნდით, არსებული გუნდის წევრებთან ერთად ისევ დამაჯერებლად გაიმარჯვებს და ამის რწმენას მაძლევს ჩვენი ერთობა, შემართება, კონკრეტული მიზნები, მომავლის მკაფიო ხედვა. გპირდებით, რომ „ქართული ოცნების“ თითოეული ნაბიჯი ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და სიძლიერის მომსახურებას, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა საპარლამენტო გუნდის ახალი შემადგენლობა წარუდგინა.

თამარ ჩუბოვანილი - მას იცნობს საზოგადოება, როგორც გამოცდილ იურისტსა და შეუპოვარ უფლებადამცველს. თამარი გახლავთ პარლამენტის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის მაგისტრის ხარისხის მფლობელი, არის მრავალი ნაშრომის ავტორი. 2013-14 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტ-





თამარ ჩუხოვაძე



გიორგი გაჩაჩიძე



ირაკლი კობახიძე



აკაკი ჯორდანიანი



არჩილ ტალავაძე

რის თანაშემწე ადამიანის უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. ამავე პერიოდში იყო მთავრობის ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნოს ხელმძღვანელი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი დამსახურება და თავდაუზოგავი შრომა, რომელიც მან გასწია თომას ჰამერბერგთან ერთად, და დღეს მისი წყალობით, ჩვენ გვაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორისაც კი.

გიორგი გაჩაჩიძე - არის ლომონოსოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. არის ფართო განათლების ადამიანი, გამოირჩევა პრინციპულობით, ლიდერის თვისებებით. გიორგი გაჩაჩიძე ბიზნესობმუდსმენი და ის, რომ მან ბიზნესის წამომადგენლებთან მოახერხა სრულყოფილი განსხვავებული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, ძალიან მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ მისი შემოსვლა ჩვენს რიგებში დიდი შენაძენია არა მარტო ქართული ოცნებისთვის, არამედ მთლიანად ქართული პოლიტიკისთვისაც.

ირაკლი კობახიძე - ირაკლის ყველა კარგად იცნობს. ის ჩვენი პარტიის აღმასრულებელი მდივანია. ირაკლის იურიდიული განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და გერმანიაში. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია დიუსელდორფის უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში ექსპერტად და პროექტების მენეჯერად, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ირაკლი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

აკაკი ჯორდანიანი - გახლავთ კოლუმბიის უნივერსიტეტის

კურსდამთავრებული საერთაშორისო და სახელმწიფო მართვის მიმართულებით. აქვს საჯარო სამსახურის 7-წლიანი გამოცდილება. მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის და აზიის 15 ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში როგორც მსოფლიო ბანკის, გაეროს, ევროგაერთიანების და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების ექსპერტს. ბატონი აკაკი წარმატებულია თავის საქმიანობაში, დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება პოლიტიკაშიც.

არჩილ ტალავაძე - არჩილსაც, ვფიქრობ, არ სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. არჩილი არის მენეჯმენტის სპეციალისტი, სწავლობდა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში და GIPA-ში. მუშაობდა USAID-ის დემოკრატიული მმართველობის პროგრამაში, შემდგომ, 2 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სამინისტროში, სადაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რეფორმებში. ამჟამად გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, რასაც წარმატებით ართმევს თავს. არჩილმა გადაწყვიტა, რომ შემოუერთდეს ჩვენს საპარლამენტო გუნდს და უფრო აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში.

თამარ ხულორდავა - გახლავთ სამართალმცოდნე, ამჟამად არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე. თამარი წლების განმავლობაში მუშაობდა ევროკავშირის წარმომადგენლობაში კანონის უზენაესობის პროგრამების მენეჯერად. ის იყო ამერიკის იურისტთა ასოციაციის იურისტი. მისი, როგორც იურისტი და მენეჯერის, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება ნამდვილად წაადგება ჩვენს გუნდს.

ირინა ზრუშიძე - იგი პროფესიით ფსიქოლოგი და ექიმი. მას ყველა იცნობს როგორც „რა, სად, როდის“ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კაპი-

ტანს. და, დარწმუნებული ვარ, მისი ინტელექტიც და პროფესიაც ერთნაირად გამოგვაადგება. იგი გახდა მეორე შვილის დედა.

პანა კუჭავა - სამართალმცოდნეა, გახლავთ ნოტინგემის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კორპორაციული სამართლის მაგისტრი, ბოლო 5 წელი მოღვაწეობს კერძო სექტორში სამთო-მოპოვებითი მიმართულებით, მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება 2 მნიშვნელოვანი პროექტი ამ მიმართულებით. ის ბიზნესიდან შემოდის.

მამუკა მდინარაძე - გახლავთ სამართლის დოქტორი. მას იცნობენ, როგორც წარმატებულ ადვოკატს, იგი დღემდე არის ადვოკატთა ალიანსის თავმჯდომარე და საქართველოს პარალიმპიური ფონდის ხელმძღვანელი. მამუკა არის სამართლის ისტორიაში უპრეცედენტო პროექტის „სადოქტორო გამოძიების სამსახური“ ავტორი.

მარიამ ჯაში - გახლავთ ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის მაგისტრი სახელმწიფო ადმინისტრაციის საკითხებში, მინიჭებული აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი. მარიამი იყო ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დარწმუნებული ვარ, წარმატებით ხელმძღვანელობს სოლიდარობის ფონდს, რომელსაც უკვე ბევრი ბავშვის სიცოცხლე აქვს გადაარჩენილი.

ნინო გოგუაძე - გახლავთ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. ახალგაზრდობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ უკვე გამოცდილი პოლიტიკოსია. 6 წლის განმავლობაში იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ამჟამად გახლავთ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე.

რომან კაპულია - აქვს დიდი გამოცდილება ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთ-

ობის კუთხით, ამჟამად გახლავთ ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ამ დეპარტამენტის კოორდინაციით თითქმის ყველა სამინისტროში დღესათვის მიმდინარეობს ევროკავშირის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტები, რომლებიც აძლიერებენ და მზარს უჭერენ ჩვენს სახელმწიფო უწყებებს ევროკავშირთან დახლოებისათვის და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

სოფო კილაძე - გახლავთ თავისი საქმის პროფესიონალი, იურისტი. არის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მუშაობდა მაქს-პლანკის ინსტიტუტში გერმანიაში და იყო შსს აკადემიის პრორექტორი. იგი წარმატებული ადამიანია, ვფიქრობთ, რომ პოლიტიკაშიც იტყვის თავის სიტყვას.

სოფო მანგარაძე - უცხო ენების სპეციალისტია, იყო ბრიტანეთის საელჩოს პოლიტიკური მდივანი და ამავე საელჩოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროექტების კოორდინატორი. ასევე საელჩოში სასტიპენდიოსაგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. მანამდე მუშაობდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდში.

სოფო ჯაფარიძე - მაგისტრი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ესეისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების სამართლებრივი ექსპერტი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ყოფილი მოადგილე - არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით.



თამარ ხულორდავა



ირინა ზრუშიძე




პანა კუჭავა



მამუკა მდინარაძე



სოფო კილაძე



მარიამ ჯაში



ნინო გოგუაძე



რომან კაპულია



სოფო ჯაფარიძე




სოფო კილაძე



მარიამ ჯაში

მათ სურთ მთელი დაღაიონის მოსახლეობა „ნაესზე შესვან“

მსოფლიო ნარკომაფია და სიონისტური ორბანიზაციები ნარკოტიკული საშუალებებით მიზანმიმართულად ანადგურებენ ქვეყნებს და ხალხებს ინტერვიუ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.



დავით გაგნიძე: „არავინ იფიქროს, რომ ამ პროექტის წინააღმდეგი ვარ, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩინეთიდან წამოსულ მატარებლებს, სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფებების კრიმინალებიც ჩამოყვებიან, რომლებიც ადგილზე კრიმინალურ ამინდს შექმნიან, მით უმეტეს, რომ ამ დაჯგუფებების სათავეში მათი ქვეყნების სპეცსამსახურები დგანან. ვინმეს სჯერა, რომ ეს სპეცსამსახურები მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენს სამართალდამცავებს და უსაფრთხოების სამსახურს რეალურ ინფორმაციას მიაწვდიან? ხსენებული დაჯგუფებები საქართველოში გარკვეულწილად უკვე მოქმედებენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით არ ჩანს, რადგან ამ ეტაპზე სხვა ეროვნებებს არ უპირისპირდებიან, ჯერ საკუთარ ხალხს სჯიან. სანამ ჩვენ

არა, რადიციული ნივთიერებების ტრანზიტის შემთხვევებიც დააფიქსირეს, ე.ი. ტრანსნაციონალური კრიმინალური სამყარო მუდმივ მოქმედებაშია. ყველა ეს დანაშაული საგრძნობლად მოიმატებს, როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, ეთნიკურ დაჯგუფებებს ჩვენთანაც გამოუჩნდება სერიოზული ლობი. რაც შეეხება ყველაზე სახიფათო კრიმინალს, ნარკოტრეფიკს, მას მთელ მსოფლიოში რამდენიმე საუკუნეა სიონისტები განაგებენ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, არაერთ

კების მსხვერპლნი გახდებიანო. „კომიტეტი-300“-ის ავტორის ჯონ კოლემენის აზრით, „მსოფლიო მმართველობის“ აღმასკოში, რომელსაც სათავეში ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ II უდგას სათავეში, ნარკოტიკული ნივთიერებების ბაზრითაა დაინტერესებული, რაც რეალობაში დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ნარკომაფიის ქმნის იმ პროგრამის რეალიზების საშუალებას, რომელსაც კაცობრიობა იმ მდგომარეობამდე მიყვავს, რომ ახალი მსოფლიო

ნარკოტიკებით ვაჭრობასა და უზუნუნობას. პარლამენტი წმინდა სიონისტური პრაქტიკაა, ხოლო პარლამენტარების უმრავლესობა, მათი ლაქია, ყველაფერი ე.წ. ლებტ თემის ვითომდა უფლებების დაცვიდან და მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციის აუცილებლობაზე საუბრით იწყება, რასაც ერთსქესიანთა ქორწინება, მეტადონით მკურნალობა, ხსენებული ნარკოტიკების ლეგალიზება მოყვება. მსოფლიოს მთელი კინონდუსტრია, მედიასაშუალებები სიონისტების ხელშია, საიდანაც

მა. ზოგიერთი სარგებლობს ამ მოვლენით, იგივე რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი, ყველაზე დიდ მოგებას ამერიკა და დიდი ბრიტანეთი ნახულობენ, თუმცა უზარმაზარი დივიდენდები მაინც მსოფლიოს უმსხვილეს ბანკებს რჩებათ, რომელთა უკან ვინც დგას საყოველთაოდაა ცნობილი. მათი ლოზუნგებია: „გაუმარჯოს სიონისტურ მაფიას!“, „სიმდიდრე ჩვენით იწყება“, „ყველა ერი ჩვენს ფეხქვეშ“. სიონისტების შესახებ კარგა ხანია ხმას არავინ იღებს, ზოგის ვარაუდით,

მათ უნდათ, რომ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე „დასვან“ მეტადონზე, რომელიც ჰეროინზე ძლიერმოქმედიან. თან ჰუმანური ლოზუნგით სურთ ამ პროგრამის განხორციელება, მეტადონი ჰეროინისგან დამოკიდებულებას ხსნისო. უბედურება ისაა, რომ პაციენტი მერე მეტადონისგან ველარ დაიხსნის თავს.



მორფი

„იმპორტულ“ კრიმინალებს გავეშიფრავთ, ქვეყანა თავზე დაგვემხოზა. ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, კრიმინალი ძირითადად კონტრაბანდულ ტვირთებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა დანაშაულებები არ გაიზრდება. ადრინდელ ინტერვიუებში ვისაუბრეთ დედაქალაქში, პუშკინის ქუჩის დასაწყისში 90-იან წლებში მოქმედ ინდურ რესტორანზე, რომლის თანამშრომლებიც აზიიდან ევროპაში ხალხის უკანონო გაყვანას ეწეოდნენ, ვისაუბრეთ ნარკოტრეფიკსა, იარაღითა ადამიანების ორგანოების უკანონო ვაჭრობაზე. ჩვენმა სამართალდამცავებმა მართო ნარკოტიკისა კი

ჭკუასაკითხავ ადამიანს უსაუბრია ბრიტანეთის ბინძური პოლიტიკის შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ქვეყნის სამეფო ტახტის მემკვიდრეები, ისევე, როგორც ექსპრემიერები უინსტონ ჩერჩილი და მარგარეტ ტეტჩერი, სიონისტური იდეების მიმდევრები არიან. ქალბატონ ტეტჩერს ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას წამოსცდა, მსოფლიო საზოგადოების შეფასებით, რუსეთის (გულისხმობდა საბჭოთა კავშირს) ტერიტორიაზე მიზანშეწონილია იცხოვროს 15 მილიონმა ადამიანმა, რომლებიც ნავთობის ჭაბურღილებსა და მალაროებს მოემსახურებიან, დანარჩენები ალკოჰოლის, სიგარეტის, უზუნუნობისა და ნარკოტი-

წესრიგის დროს, მას საკუთარი ნება აღარ ექნება. „მსოფლიო მამების (და დედების)“ მიზანია, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ვაჭრობის გარდა, თუნდაც სულ მცირედით, ლეგალური ვაჭრობის ბაზარი. გაისხენეთ „ეროვნებით იურისტ“ ვლადიმერ ფირინოვსკის მოწოდება, რუსეთში დაშვებული იქნას ნარკოტიკებით ვაჭრობა და ბორდელების ფუნქციონირება, ასევე, სიონისტების ლაქია, გვართით ქართველ ირაკლი ალასანიას ნათქვამი, რომ თუ ხელისუფლების სათავეში მოვა, მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციას მოახდენს. სწორედ პარლამენტების საშუალებით აკანონებენ მთელ მსოფლიოში, მსუბუქია

ზნეობრივი არაფერი ისმის, თუ ისმის და ჩურჩულის ღონეზე, ასე რომ, ბევრს არავის ესმის. ამ კასტას სურს, რაც შეიძლება მეტი გამოცდილი, ავტორიტეტის მქონე ადამიანი გაუყენონ საიქიოს გზას, რომ ახალგაზრდობას უფრო მეტად აურიონ თავგზა. სიონისტური იდეებით გაჟღენთილი ადამიანის მსგავსი არსებები, მებრძოლნი არასდროს ყოფილან და ვერც გახდებიან, ისინი ზურგიდან მოგეპარებიან და თავგზის ასაბნევედ „იაფ“ კრედიტს, უზნეო ფილმს, „საგანგაშო“ ინფორმაციას, ან ნარკოტიკს შემოგაპარებენ. სიონისტებს ერთი მიზანი ამოძრავებთ, მსოფლიო ბატონობა, რისთვისაც ყველაფერს იკადრებენ, ფიზიკურად თუ ვერ შეძლეს რაიმეს გაკეთება, ზნეობრივად ყველაფერს იკადრებენ. სწორედ მათი დამსახურებაა, მე-19 საუკუნეში ჩინეთის ლამის მთელი მოსახლეობის „წამალზე შესმა“ თავისუფალი ბაზრის ლოზუნგით, სწორედ მათი დამსახურებაა იმ ქვეყნების განაგება, ნგრევა-გაპარტახება, სადაც ეს საწამლაკე მოყავთ და შემდეგ მის ტრანზიტს ახორციელებენ, კერძოდ, ავღანეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, პაკისტანი, ყირგიზეთი, საქართველო, ბირმა, ლაოსი, ტაილანდი, ბოლივია, პერუ, ვენესუელა. არიან ქვეყნები, რომლებმაც დაამუხრუჭეს და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ამ დამღუპველ მოვლენას, მაგალითად ჩინეთმა, ირანმა, თურქეთმა და ინდოეთ-

ამ ყველაფერს „ილუმინატები“ ახორციელებენ, ზოგი ამტკიცებს „მასონების“ ნამოღვაწა-რიაო, ზოგის აზრით, „კომიტეტი-300“ განაგებს ამ ყველაფერს, ზოგი კი ინგლისურ სპეცსამსახურს „მი-6“-ს მიაწერს. თუ ყველაფერს კარგად გავაანალიზებთ და ლოგიკურად ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ სიონისტების ნამოქმედარია, უბრალოდ მათ სურთ ჩუმად, ზნეობის, მორალის გარეშე იმოქმედონ და ქურქები იცვალონ, თან საქმე ისე „ააწყვეს“, რომ საკმარისია სიტყვა სიონისტი წამოგცდეს, მაშინვე ანტი-სემიტობაში დაგდებენ ბრალს, არადა სიონისტები ებრაელ ერსაც ისევე აწამებენ, როგორც სხვა ერებს. ერთადერთი ხსნა იმ ქვეყნებთან და ხალხთან თანამშრომლობაა, რომლებშიც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ბრძოლის სურვილი, რათა საბოლოოდ არ აღსრულდეს სიონისტების მარადიული ოცნება, პირველ რიგში მათ ძირითად დასაყრდენს, ფინანსურ ბასტიონებს, ბანკებს უნდა შევუტოთ. „მშვიდობა ოჯახებს, ბრძოლა ბანკებს“, ამ ლოზუნგით ევროპის ქვეყნებში საკმაო ხანია დაუცხრომელი ბრძოლა მიმდინარეობს იმ პოლიტიკური დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც თავს ლიბერალებს უწოდებენ. სწორედ ლიბერალები არიან სიონისტების ის უახლესი საშუალება, რომელიც „მასობრივი განადგურების იარაღით“ - ფულით ახორციელებს მშვი-



დობიანი მოსახლეობის მასიურ გენოციდს“.

- ბატონო დავით, რეალურ მასობრივი განადგურების იარაღზე, ნარკოტიკულ საშუალებებზე ვისაუბროთ, რომელთა აქტიური წარმოება-რეალიზაცია „მსოფლიო მამობაზე“ პრეტენზიის მქონეთა ხელდასმით ხდება.

- ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი მცენარეების გამოყენების შესახებ ცნობები ანტიკური ხანის ნაწარმოებებიდან მოდის. მათი მიღება ზმანებებს, ბოდვას, ჰალუცინაციებს, ღრმა ძილს იწვევს. ყველაზე გავრცელებული ოპიუმიდა, რომელიც ოპიუმის ყაყაჩოს მოუწიფებელი ნაყოფის რძისფერი სითხისგან მიიღება, თუმცა გამყარების შემდეგ მუქ ყავისფერს იღებს და ადამიანის ორგანიზმზე მომაკვლინებელ გავლენას ახდენს. ოპიუმი ბერძნული სიტყვაა და ყაყაჩოს წვეს ნიშნავს. იგი ინდოეთიდან საუკუნეების წინ (ცნობილი მოგზაურის მარკო პოლოს დროიდან) გაერცვლა და „სამოთხის გასაღებს“ უწოდებენ. ადამიანზე თრიაქის მოქმედება კარგად აქვს აღწერილი ამბაკო ჭელიძეს თავის ნაშრომში „ექვსი წელი სპარსეთში“ - ამბობენ, რომ თრიაქით გაყვლილი ადამიანზე გველის შხამი აღარ მოქმედებს, პირიქით, თუ გველმა ასეთი ადამიანი დაკბინა, კაცის სხეულისგან თვით გველი მოიწაღება. 1953 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დართო ნება ოპიუმი ეწარმოებინა, სადაც 1952 წელს ამოიღეს ოპიუმის ნაყენი (კუჭის საშუალო საშუალება) წარმოებიდან. ამგვარი ნებართვა ჰქონდა ბულგარეთს, საბერძნეთს, ინდოეთს, ირანს, თურქეთს და იუგოსლავიას. საბჭოთა კავშირში ოპიუმის ყაყაჩო ყირგიზეთში, ისიკყულის ტბასთან მოჰყავდათ. დღეს რიგი ექსპერტების მონაცემებით, მსოფლიო ნარკოტიკული ნივთიერებების 92%-ს ავღანეთი აწარმოებს, ავღანური ნარკოტიკის დაბალმა ფასმა გააკოტრა „ოქროს სამკუთხედის“ ოპიუმის წარმოება. ავღანური ოპიუმის ყაყაჩოს მოსავლიანობა და ნათესი ფართობები, რომ აღმაკვლავლი გზით მიდის, ეს სტატისტიკაც მოწმობს, 2001 წელს, ანუ თალიბების პერიოდში ავღანეთში 0,185 ტონა ოპიუმის ნედლეული იწარმოებოდა, 2002

წელს 2.2000 ტ, 2003 წ. - 4.200 ტ, 2005 წ. - 4.100 ტ, 2007 წ. - 8.200 ტ, 2008 წ. - 7.700 ტ, 2009 წ. - 6.900 ტ, 2010 წ. - 3.600 ტ, 2011 წ. - 5.800 ტ, 2012 წელს 154.000 ჰექტარზე იყო ნათესები, ხოლო 2013 წელს - 232.000 ჰა-ზე. ეს ოფიციალური მონაცემებია და ჩათვალეთ, რომ რაოდენობები 2-3 ჯერაა შემცირებული. კოკონარი, იგივე კუკნარი, კუნარი, კუკიში, გამშრალი ოპიუმის ყაყა-

დური კანაფისგან, როგორც ინდოეთში, ისე არაბეთში, ირანში, აფრიკის კონტინენტზე და სხვაგანაც. აზიის ქვეყნებში ჰაშიშის „განჯას“, ან „ჩარას“ უწოდებენ, მისი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ავღანეთია, რადგან იქ ყველაზე მაღალი მოსავალი იცის, 1 ჰა-ზე 145 კგ, მაშინ როცა მაროკოში ამ ფართზე 45 კგ მოდის. კანაბასის მოსავლის შემოსავალი 1 ჰა-ზე 3900 აშშ დოლარია, ეს ოპიუმის ყაყაჩოს შემოსავალსაც აჭარბებს, რომელიც 1 ჰა-ზე 3600 დოლარს შეადგენს.

მორფინი (ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მორფეი სიზმრების ღმერთია) გერმანელმა ფრიდრიხ სერტიუნერმა 1804 წელს მიიღო, თუმცა მისი გავრცელება 1853 წლიდან დაიწყო, ანუ მას შემდეგ, რაც საინექციო ნემსი გამოიგონეს. მორფინმაც მე-19 საუკუნიდან „დაიპყრო“ ევროპა, თავიდან მას ოპიუმისა და ალკოჰოლის დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ მოიხმარდნენ, მედიცინაში ტკივილგამაყუჩებელ და საძილე საშუალებად გამოიყენება. ზოგიერთი

ერი“ იყო და ბაზარზე გაიტანეს, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო პრეპარატი (ხველების საწინააღმდეგო საშუალება) და მორფის მიდრეკილების მოცილების საშუალება. სხვათა შორის, ამ ნივთიერების სინთეზირება პირველად (1974 წ.) ბრიტანელმა ქიმიკოსმა **ოლდფორ რაიტმა** შეძლო და ამასთან დაკავშირებით, ნაშრომშიც გამოაქვეყნა. რაიტი იმ პერიოდში წმინდა მარიამის სახელობის ჰოსპიტალთან არსებულ სამედიცინო სკოლაში მუშაობდა. 1898 წელს ჰენრიხ დრეზერმა ახლიდან შექმნა პეროინი და შეამჩნია, რომ ის მორფზე ათჯერ ძლიერი იყო და მისგან განსხვავდებოდა, რის შემდეგაც დაიწყო მისი წარმოება. პეროინს, როგორც ხველების საწინააღმდეგო საშუალებას, გერმანელი ქიმიკოსი ფელიქს ჰოფმანი იკვლევდა, ნივთიერების სახელი სიტყვა პერიოსიდან (გმირული) წამოვიდა. 1898-1910 წლებში პეროინი აფთიაქებში იყიდებოდა, როგორც ხველების დროს დამაწყნარებელი და მორფზე დამოკიდებულების მოხსნის

პეროინის მაღალკონცენტრირებულ ხსნარს წარმოადგენს, აქვს მოფითალო-მოაღუბლისფერი შეფერილობა, პეროინისგან განსხვავებით, პირველივე ინექციის შემდეგ ხდება ადამიანი ნარკოკომოკულებული, რომლის განკურნების იმედიც კი არ არსებობს. საქართველოში 2014 წელს სამართალდამცავების მიერ ამოღებული დიდი ოდენობით პეროინის ხსნარი, რომელიც მავანთ „ოლიფად“ უნდოდათ გაესაღებინათ, შემთხვევით „ალაპის ცრემლები“ ხომ არ იყო?

- ე.წ. მეტადონის პროგრამის მიმართ არა თუ სკეპტიკურად, არამედ უარყოფითად ხართ განწყობილი, რაც არაერთხელ კერძო საუბარშიც გითქვამთ. რამ გამოიწვია თქვენი ასეთი უნდობლობა?

- მორფინზე დამოკიდებულების პრობლემის გადასაჭრელად, 1944 წელს გერმანელმა ფარმაცევტმა იმ დროისთვის უცნობი სამედიცინო პრეპარატი გამოიგონეს და ჰიტლერის საპატივცემულოდ დოლოფინი დაარქვეს, ომის დამთავრების შემდეგ კი მეტადონი დაარქვეს. მას შემდეგ ამ პრეპარატს, ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე სამკურნალოდ იყენებენ, არადა ისიც ნარკოტიკია და ადამიანს ანადგურებს, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. მეტადონის წარმოშობის შესახებ მეორე ვერსიაც არსებობს, რომლის მიხედვითაც, 1937 წელს, ორმა გერმანელმა მეცნიერმა მას ბოკიულმა და გუსტავ ერხარდტმა ფარმაცოლოგიურ კომპანია „ი.გ. ფარბენში“, ამერიკული ფარმაცევტული ფირმა



ჩოს დაქუცმაცებული თავთავია, რომლითაც ნარკოტიკულ ნაყენს აშხადებენ. 1978 წელს თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა მისი დაშხადება, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოყოლია. ლაუნდაუმიც ოპიუმის ნაყენია, რომელსაც სპირტზე აშხადებენ. ჰაშიში - „ხაშეშა“ - „თივა, მშრალი ბალახი“, ესეც უძველესი, ოპიუმივით საშიხელი ნარკოტიკული საშუალებაა, რომლის სინონიმებია პლანი, ანაშა, ის „მარიხუანაში“ არ უნდა აგვერიოს. „მარიხუანა“ დაწნხილი კანაბასის (კანაფი) ბალახისგან მიიღება და კუბიკების ფორმა აქვს, მასში ამ მცენარის ყველა ნაწილი შედის, რომლებიც ფხვნილის დონედ დაქუცმაცებული. ჰაშიში კანაბასის ფისია, რომელიც კანაბასის ფოთლების გაყვავებულ თავის წებოვან-ზეთოვანი ნივთიერებების გაშრობისა და წვრილად დაქუცმაცებით მიიღება. შემდგომ ფხვნილი იწუნება და ბრიკეტებად იყოფა. ეს ნარკოტიკი მოქმედებით ახლოს დგას ოპიუმთან, აშხადებენ ინ-

მკვლევარის აზრით, მორფი ევროპაში გერმანელმა გაავრცელეს. მორფინი ფართოდ გამოიყენეს, როგორც ამერიკის სამოქალაქო ომის დროს, ისე 1870-71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროსაც, პრუსიის არმიამ მორფინისტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რადგან დაღლილ ჯარისკაცებს ძალების აღსადგენად აძლევდნენ ამ ნარკოტიკს. დემობილიზებულმა სამხედროებმა ვეღარ „დაივიწყეს“ მორფინი, რასაც მამინ არმიის დაავადება უწოდეს. მედიცინის დარგში მიღწევად მიჩნეული მორფის ბოროტად გამოყენება, კაცობრიობისთვის საველო შედეგის მომტანია. პეროინი ნახევრად სინთეტიკური ოპიოიდური ნარკოტიკია, რომელიც მე-19-მე-20 საუკუნეებში სამკურნალო საშუალებად გამოიყენებოდა. პეროინის წარმოება პირველად (1898 წელი) გერმანიაში დაიწყო, მისი პირველი მწარმოებელი კომპანია „ბაი-

საშუალება, რომელიც ადამიანს თავისზე დამოკიდებულს არ ხდიდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ პეროინი ღვიძლში მორფინად გარდაიქმნებოდა და ადამიანს უფრო ძლიერად დამოკიდებულს ხდიდა, ვიდრე მორფინი, ისიც გაირკვიეს, რომ ზოგიერთი პაციენტი ძალიან დიდი რაოდენობით იღებდა ამ პრეპარატს, ამიტომ 1913 წელს „ბაიერმა“ შეაჩერა მისი წარმოება. 1914 წელს აშშ-ში მხოლოდ სამედიცინო თვალსაზრისით დაუშვეს მისი მიღება, 1924 წლიდან კი საერთოდ აკრძალეს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1971 წლამდე თავისუფლად იყო შესაძლებელი პეროინის აბების ყიდვა. არსებობს ნარკოტიკი სახელწოდებით „ალაპის ცრემლები“, ესეც „სტაფიანი“ ნარკოტიკია, რომელიც

„ელაი ლილის“ შეკვეთით, სინთეზირება გაუკეთა ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატს, რათა მას მორფინი შეეცვალა. 1941 წლის 11 სექტემბერს მასზე მესამე რაიხის პატენტი გაიცა, სწორედ ეს პრეპარატი გახდა მეტადონი, რომელიც აღნიშნულმა კომპანიამ 1947 წელს ამერიკაში შეიტანა. მათ უნდათ, რომ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე „დასვან“ მეტადონზე, რომელიც პეროინზე ძლიერმოქმედა. თან ჰუმანური ღოზუნით სურთ ამ პროგრამის განხორციელება, მეტადონი პეროინისგან დამოკიდებულებას ხსნის. უბედურება ისაა, რომ პაციენტი მერე მეტადონისგან ვეღარ დაიხსნის თავს.

მანანა სუსნიშვილი
599 512 824
(ზაზრაქელა იძნება)

საფრანგეთის ყველაზე საპურიანი სკანდალები

პოლიტიკური სკანდალები, გამოძიება, ინტრიგები, საფრანგეთში იშვიათობა როდია: ისინი ქვეყნის ისტორიას წითელ ზოლად გასდევს. სკანდალების მონაწილეები არიან ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები, სხვადასხვა დონის მეწარმეები, რომლებიც უარს არ ამბობენ არც თაღლითობაზე, არც კორუფციაზე, არც ფინანსურ მაქინაციაზე და არც სხვა, არც ისე სუფთა ქმედებებზე იმის იმედით, რომ მათი საიდუმლო არასოდეს გაცხადდება. მაგრამ ფაქტები ყოველთვის ამოტივტივდება ხოლმე და სკანდალებიც განმეორდება.

გთავაზობთ საფრანგეთში XIX საუკუნიდან დაწყებული დღემდე მომხდარ რამდენიმე ყველაზე საინტერესო პოლიტიკურ და ფინანსურ სკანდალს და მათ მონაწილეებს.

პანამის სკანდალი

ეს საფინანსო-პოლიტიკური სკანდალი საფრანგეთში მოხდა XIX ს-ის ბოლოს, პანამის არხის მშენებლობის დროს. სკანდალი უმაღლესი სახელმწიფო ჩინოვნიკების, პარლამენტარებისა და ჟურნალისტების

ტების საფუძველზე – იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც თითქოს გერმანიის ელჩის მიერ იყო დაწერილი და დრეიფუსს გერმანელებთან თანამშრომლობაში ამხელდა. დრეიფუსს ჯაშუშობისა და სახელმწიფო დაღალისთვის სამუდამო

რანგეთის პრეზიდენტი 1995-დან 2007 წლამდე. 2011 წლის დეკემბერში საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს ორი წლით პირობითი სასჯელი შეეფარდა. იგი დამნაშავედ ცნეს თანამდებობისა და ნდობის ბოროტად გამოყენებაში, უკანონო სარგებლის მიღებასა და სახელმწიფო თანხების გაფლანგვაში 1990-1995 წლებში, როცა იგი პარიზის მერი იყო. კერძოდ, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ამ პერიოდში შირაკმა შექმნა რამდენიმე ათეული საშუალო ადგილისგან შემდგარი ქსელი მერიაში, ამასთან, ამ „თანამშრომლების“ ხელფასი ირიცხებოდა მისი პარტიის „რესპუბლიკის მხარდამჭერი კავშირი“ ფონდში. აფერა საფრანგეთის დედაქალაქს 1,4 მლნ ევრო დაუჯდა.

ლომინიკ დე ვილჟანი

ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 2005-2007 წლებში. 2007 წელს დე ვილჟანის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება ნიკოლა სარკოზის ცრუ დასმენის გამო, რადგან ერთი წლით ადრე გამოძიებებმა გამოავლინეს ჩინოვნიკების სია, რომლებსაც თითქოს გახსნილი ჰქონდათ ანგარიშები საკლირინგო კომპანია Clearstream-ში. არსებობს მოსაზრება, რომ ამ სიის პუბლიკაციის ინიცირება სწორედ დე ვილჟანმა მოახდინა, რომლისთვისაც სარკოზი ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო. უნდა დავამატოთ, რომ პარიზის პროკურატურამ შეწყვიტა გამოძიება და უარი თქვა საქმის აღძვრაზე ქრთამის შესახებ, რომლებიც თითქოსდა ექს-პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა და ექს-პრემიერმა ლომინიკ დე ვილჟანმა აიღეს 1997-2005 წლებში აფრიკელი ლიდერებისგან. გამოძიება დაიწყო ელისეის სასახლის ყოფილი მრჩეველის, ადვოკატ რობერ ბურჟის განცხადებების საფუძველზე, მაგრამ პროკურატურამ ამ განცხადებების დამადასტურებელი ფაქტები ვერ აღმოაჩინა.

ლილიან ბეტანჟური

ფრანგი მეწარმე, მამის მიერ 1909 წელს დაარსებული ფირ-



ნიკოლა სარკოზი

მა L'Oreal-ის თანამფლობელი. 2010 წელს ბეტანჟური პოლიტიკურ სკანდალში ჩაითრიეს აუდიონანაწერების გასაჯაროების შემდეგ, რომლებიც მისმა სახლთუხუცესმა გააფრთხილა. ჩანაწერებში თითქოს მის ფინანსურ კონსულტანტთან საუბარი იყო ჩქაწერილი იმის შესახებ, რომ ბეტანჟურმა თავი აარიდა გადასახადების გადახდას და დიდი რაოდენობით ნაღდი ფული შეინარჩუნა შვეიცარიის ბანკის ანგარიშებზე. სკანდალმა უფრო ფართო მასშტაბები მიიღო, როცა ბეტანჟურის ბუღალტერმა განაცხადა, რომ ფრანგი პოლიტიკოსები, კონსერვატორული პარტიის წევრებს კონვერტიტად გადასცემდნენ ფულს ბეტანჟურის სახლში. კერძოდ, „სახალხო მოძრაობის კავშირის“ ხაზინადარმა 2007 წლის მარტში მიიღო კონვერტი 150 000 ევროთი ნიკოლა სარ-

ლიო პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სარკოზი ლიდერობს მემარჯვენე ცენტრისტული მიმართულების პოლიტიკოსებს შორის და ამომრჩეველს შორის ყველაზე პოპულარულია დე მემარჯვენე პარტიების ყველაზე სასურველი კანდიდატია 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მალევე, 2014 წლის ივლისის დასაწყისში, სარკოზი გამოიძახეს დაკითხვაზე, რის შემდეგაც მასზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კორუფციის ბრალდებით. ყოფილ პრეზიდენტს ბრალდება წარედგინა სამი სტატიით. ყველა მათგანი დაკავშირებულია ლიბიის ლიდერ კადაფისგან და მეწარმე ბეტანჟურისგან უკანონოდ ფულის აღებასთან. კერძოდ, თითქოს სარკოზიმ მიიღო 50 მლნ ევრო ლიბიის დიქტატორ კადაფისგან საკუთარი საარ-



პანამისა და დრეიფუსის სკანდალები



კორუფციის ფაქტებთან დაკავშირებით ატყდა, რომელთა მომსახურებასაც ანაზღაურებდნენ პანამის კომპანიის წარმომადგენლები საკუთარი ფულით, სახელმწიფოს და პრესის მხრიდან კომპანიისთვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუშაობდა შუამავლებთან და აგენტებთან, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან იყვნენ დაახლოებული და საიდუმლოდ შეეძლოთ საჭირო ადამიანებისთვის ფულის გადაცემა, რომელთა შორის იყვნენ მოქმედი და ყოფილი მინისტრები, პარლამენტის ორივე პალატის წარმომადგენლები და სხვა გავლენიანი პირები. გამოძიება პანამის კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ დაახლოებით სამი წელი გრძელდებოდა.

დრეიფუსის საქმე

საფრანგეთში 1894 წლის გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელიც ათწლიან სოციალურ კონფლიქტში გადაიზარდა. საქმე ეხებოდა საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცრის, ელზასში დაბადებული კაპიტანი ალფრედ დრეიფუსის ჯაშუშობის ფაქტს გერმანიის იმპერიის სასარგებლოდ. იგი სამხედრო სასამართლომ ჩამოაკვეთა და სამუდამო გადასახლება მიუსაჯა ყალბი დოკუმენ-

ტების საფუძველზე – იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც თითქოს გერმანიის ელჩის მიერ იყო დაწერილი და დრეიფუსს გერმანელებთან თანამშრომლობაში ამხელდა. დრეიფუსს ჯაშუშობისა და სახელმწიფო დაღალისთვის სამუდამო

სტავისკის საქმე

საფინანსო-პოლიტიკური აფერა, რომელმაც საფრანგეთში პოლიტიკური ბრძოლა გაამწვა და ქვეყანაში კრიზისული სიტუაცია გამოიწვია 1933 წლის დეკემბრიდან 1934 წლის თებერვლის ჩათვლით. საქმე ეხებოდა ებრაულ-უკრაინული წარმოშობის ფრანგი მრეწველისთვის წაყენებულ ბრალდებას 200 მლნ ფრანკის ღირებულების ვექსილების გაყალბებაში. სტავისკი სხვადასხვა სოციალური პროგრამებისთვის ყალბ ვექსილებს ამზადებდა, როგორცაა მაგალითად, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, მაღალი თანამდებობის პირები კი მას ფასიანი ქაღალდების გაყიდვებში ეხმარებოდნენ, რამაც პროცენტს იღებდნენ. სკანდალი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის საბაბი გახდა. პარიზში ხდებოდა შეტაკებები უკიდურეს მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს შორის, ადგილი ჰქონდა იარაღის გამოყენებასაც.

ჟაკ რინე შირაკი

ფრანგი პოლიტიკოსი, საფ-



ლილიან ბეტანჟური



ლომინიკ დე ვილჟანი

კოზის საპრეზიდენტო კამპანიისთვის. ასევე, მისი სიტყვებით, სარკოზი თავადაც ზშირი სტუმარი იყო ბეტანჟურის სახლში და ასევე იღებდა კონვერტებს ნაღდი ფულით.

ნიკოლა სარკოზი

ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2007-1012 წლებში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ 2014 წლის იანვარში მსოფ-

ჩვენო კამპანიისთვის, შემდეგ კი მოტყუებით გამოართვა ფული ლილიან ბეტანჟურს და ყოველივე ამის დასაფარად, თითქოს სარკოზიმ მოსამართლეები მოიხყიდა. სარკოზიმ განაცხადა, რომ მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება პოლიტიკურად არი მოტივირებული.

მოამზადა
ბელა ბაჟალისიანმა
568 90 81 22

მაკოი ხორასის რომანის მიხედვით სიღნევი პოლაკის გადაღებული ფილმი „ხომ ზოცავენ ქანცგაწვევით ცხენებს?“ ოსკარის ნომინანტი გახდა. ცხადდება საცეკვაო მართონი, რომელსაც სატელევიზიო არხები აშუქებენ. გამარჯვებულად გამოცხადდება წვეილი, რომელიც ბოლოს დარჩება.

ფილმში ქანცგაწვევით აღამიანებს ხედავ, რომლებიც გარკვეული საზღაურის ფასად ფეხზე უნდა იდგნენ და იცეკვონ შეუსვენებლად, არ უნდა დაწვნენ მოღზე გაშვებული ცხენებით... იმდენად მძიმე საყურებელია ფილმი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თითქოს შენ, მაყურებელსაც გერყევა ფსიქიკა და სული გისახიჩრდება...

ახლახანს დასრულდა პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ და „ქანცგაწვევით ცხენებიც“ ამიტომ გამახსენდა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პროექტი ზორციელდება, პროექტის ყველა მონაწილე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქანცგაწვევამდე იხარ-

ყო „ვილაცების“ გეგმაში; ის სპეციალურად გავრცელებული ხმები, რომ „ბონდარენკოს გაყვანას“ აპირებდნენ, სწორედ იმიტომ იყო დაყრილი, რომ პროექტის მაყურებელ საზოგადოებას აეკენკა და ამ წვეილის მიმართ ანტი-განწყობა შეექმნათ. როგორც მიაბმეს, კონკრეტულად ეს წვეილი იყო ჩაყენებული მძიმე მდგომარეობაში, რომელსაც თან ერთვოდა ბონდარენკოს ხშირი გადაფრენ-გადმოფრენები, ანუ დროის კარგვა და ფიზიკურ აქტიუობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა. გადაუმოწმებელი



ხომ ზოცავენ ქანცგაწვევით ცხენებს?



ჯებიან გამარჯვებისთვის. რომელიღაც სატელევიზიო არხზე, რომელიღაც „დღის გადაცემაში“ თურმე სტუმრად ჰყავდათ მიწვეული ამ სეზონის გამარჯვებული სტანისლავ ბონდარენკოს პროფესიონალი მოცეკვავე მეწვეილე ნიკე კეშელავა. გადაცემის ერთ-ერთ წამყვანს უკითხავს, თქვენ რითი დაგასაჩუქრესო? ნიკე უხერხულად შემუშუნულა – არაფრითო.

რა თქმა უნდა, სრულებით არ არის რთული ნიკე კეშელავასთან დაკავშირება, მაგრამ თავი არ შემოიწუნებია, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენე გოგონა, ისედაც უამრავი მობასსეა გარშემო, რომელიც უშურველად გასცემს ინფორმაციას რა ზღვა ნებისმიერი პროექტის კულუარებში რეალურად. ვინაიდან გამარჯვებული წვეილი მაინტერესებდა (სტანისლავ ბონდარენკომ რა ჯილდო და საჩუქრები მიიღო, ისედაც ცნობილია), მხოლოდ ნიკეს შესახებ გავიკითხე. იმან, რაც მოვისმინე, ნამდვილად გადააჭარბა მოლოდინს!

უპირველესად უნდა აღვნიშნო, რომ ფინალში გამარჯვებული წვეილის გამარჯვება არ

ინფორმაციაა, რომ ამ წვეილს ცეკვებსაც არ უდგამდა ვისაც ეს ეხებოდა ბოლო დღეებამდე; დაჩაგრული ნიკე თვითონ ეძებდა ხან თმის კულულს და ხან მუსიკის ცეკვისთვის; რაც შეეხება ქანცის გაწვევების ანაზღაურებას – 1000 ლარით განსაზღვრულა და ამ თანხითვე უნდა მომსახურებოდა საკუთარ თავს – არავითარ შემთხვევაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა! არ გყავს საკუთარი ავტომანქანა? – გადაადგილდი მხოლოდ ტაქსით! 124 000 ხმიდან 95 000 ხმა ერგო გამარჯვებულ წვეილს, ხალხმა გაამარჯვებინათ და ისიც, ბონდარენკოს მდებარეობითი სქესის ფანებმა, თორემ...

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ სხვა სეზონი გამახსენდა, როდესაც მიმა მესხმა პროექტი დატოვა სიტყვებით: „დიდი ბოდიში ყველა იმ აღამიანს, ვინც გვეგულშემატკივრობდა... იმიტომ, რომ ნამდვილად დავიღალე, თან რაღაცა... არ მინდა ამაზე ლაპარაკი... ამას დაუუსვით „ტორკა“... არ მინდა ეს სიაფანდი შედეგები...“

მხოლოდ ცეკვის დროს არ სძვრებათ ქანცი, სიმღერაც

როგორია, როცა არ გემღერება, მაგრამ უნდა იმღერო?

„იმედის“ ეთერით გასული „ერთი ერთში“ გამახსენდა (ჯი-დი-ეს-ზე სხვა დონე იყო და სამართლიანიც) – როდესაც უსამართლობამ და ღია ცინიზმმა წყობიდან გამოიყვანა ზურა მანჯავიძე და როგორც ხმა გავრცელდა, ფიზიკური დაპირისპირებაც მოხდა ფიურის ერთ კონკრეტულ წვერთან. მაშინვე მოკლე და საბოლოო კომენტარით შემოიფარგლა ზურა პირდაპირ ეთერში: „დიდი მადლობა ფიურის ზღვარდასული კომპეტენტურობისთვის. ერთადერთი, რატომაც ჩემს თავს ვცემ პატივს და არაფერს ვიტყვი, ეს არის ბადრი პატარკაციშვილის სული. ფიურის დღევანდელი საქციელი, უფრო სწორად, უსაქციელობა, ამას იმსახურებს!“ რა თქმა უნდა, „იმედს“ არაფერი უთქვამს თავის მხრივ...

მაყურებელი კარგად არჩევს ვინ როგორ ცეკვავს, ან მღერის; ვინ იბნევა და ვის რატომ ებორკება ფეხები; ვის რა ხმა ამოსდის ყელიდან და ვინ როგორ მიიწევს ზემოთ, თუმცა რა გააწყოს? მაგრამ როცა საქმე ინტელექტუალურ გადაცემებს ეხება, მაშინ

მაინც ხომ უნდა იყოს სრული წესრიგი?

ახლახან დამთავრდა ე.წ კულტურის სფეროში „ქანცგაწვევით აღამიანების“ კიდევ ერთი მართონი „X ფაქტორი“, საქართველოს ტელე-სივრცეში ყველაზე უსამართლო მართლაც რომ შოუ, დაწვეული ე.წ მენტორების ტაქმისსრობითა თუ ყალბი გაგულისებით, დამთავრებული მონაწილეებისა თუ მაყურებლების ნერვების დაწვევით.

ერთ-ერთი მენტორის, სოფო ნიჭარაძის კომენტარი „X ფაქტორის“ ფინალის შემდეგ „რაც შეეხება გამარჯვებულს, რა აზრისაც უნდა ვიყო, ამას უკვე არ აქვს მნიშვნელობა“ – სკანდალურ კომენტარად გამოცხადდა.

სკანდალური ფინალი რომ იქნებოდა სკანდალისტების ხელში, რა გასაკვირა? მენტორები ერთმანეთს ისე კორტინდნენ პროექტის მსვლელობისას და ისეთ შოუებს დგამდნენ, პროფესიონალ მსახიობს შემურდებოდა. ხან იგივე სოფო ნიჭარაძემ დაადანაშაულა სხვა მენტორი, ვოკალურ მონაცემებს ფიზიკურ მონაცემებს ამჯობინებო და პროტესტის ნიშნად დარბაზიდან გავიდა; ხან ნიკა გვარამია

გაიქცა დარბაზიდან, კონკრეტული გამოშვებული რატომ დატოვეთ პროექტშიო, მერე კი ისე მოიხიბლა მის მიერ „რესტორნის მომღერლად“ შერაცხული მონაწილის შესრულებით, ბოდიშის ნიშნად კონკურსანტს დაუწოქა – მენტორების მიერ ჩატარებული სრული კლოუნდა...

რასაც ჰგავს ქართული ტელევიზიები, ანუ არაფერს რომ არ ჰგავს ხარისხიანი ტელევიზიის მსგავსს – თქვენი თვალთ ხედავთ; გადაცემის წამყვანები რა მეტყველებისა და გარეგნობისანი არიან, ან რანაირად არიან ჩაცმულები – ვხედავთ; ამ ყველაფერთან ერთად, ერთმანეთს რომ საუბარს არ აცდიან და ყველა მოწვეულ სტუმარზე უკეთ რომ იციან არაფრისმცოდნე, მხოლოდ მოლაყებ გაყურნალისტებულმა სახეებმა ყველა საკითხი – ეს კიდევ ცალკე საშინელებაა... მაგრამ რა, „კერძო ტელევიზიები“ პქვიათ და მთარაქუნებენ ვითომ მხოლოდ თავისას, მაგრამ რეალურად, ჩამოყვალბებელი ასაკის აღამიანების სულიერ, ენობრივ და ზოგადად, პიროვნების დეგრადირებას ახდენენ... (არ ვეხებით თემას „ვინ ვისი მიყვანილია და რა პირადი დამსახურებისთვის“)


მაგრამ როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ანუ ჩემი და თქვენი ჯიბიდან) დაფინანსებული ტელევიზიაც კი პრივატიზებულია და საგვარეულო ბიზნესად არის ქცეული, ვინმე სულ მცირედად მაინც დაინტერესდა, აქ რა „საოჯახო ქვაბი“ გქონიათ? იქნებ, არც შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ იქნებ შეუვალი სიმართლეცაა?

სწორედ რომ უმსგავსობის დოღია ყველაგან და ყველაფერში, დაწვეული ყველა სფეროდან და დამთავრებული ყველა სფეროთი და ყველაფრით, არადა, დღე არ გავა ისე, არ გაიგო, რომ გარდაიცვალა ვიღაც, უმწეო, უსახლკარო, მძიერი, ქანცგაწვევითი აღამიანი და არა ცხენი...

გიორგი ჩხეიძე

რუსთაველი ოქსფორდში

იუნესკომ 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წლად გამოაცხადა – მთელი მსოფლიო აღნიშნავს ქართველი პოეტის 850 წლისთავს. ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ ცნობილი ჟურნალისტის მელორ სტურუას ჩანაწერს, რომელიც რუსთაველის 800 წლისთავს ეძღვნება და რომელიც მისი საზღვარგარეთული ნარკვევების კრებულშია შესული.



აგვისტოს მიწურულს ჩამოვედი ოქსფორდში. სტუდენტებს ვაკაცია ჰქონდათ, და ძველთაძველი საუნივერსიტეტო ქალაქი, დაცარიელებული და გაფურცებული, მაგონებდა რიჩარდ ლომგულის დროების ფილმის გადასაღებად დაშვებულ პოლიუდის გიგანტურ დეკორაციას. ხეივანების ჩრდილსა და ქვით ნაგები სახლების ეზოებში დახუტებული მარტონელები ტურისტები. გაუჩერებლად აჩნა კუნებდნენ ფოტოაპარატებს და შუასაუკუნეების კოლეჯების სიმაღლიდან მომზირალ ბრძენ ქიმერებს ისინი ალბათ დაუდგრომელ ციციანთალებად ეჩვენებოდათ. ზაფხულის თუმც უკვე ძალა-გამოცლილი მზე თავისი სხივების ბასრი ზედაპირებით გულგრილად ფხვკდა ფანჯრის ჩარჩოებს ჟანგს...

გვიანდელი პერიოდის ფერმწერები, რომლებიც აღმოსავლური მინიატიურების გავლენით აღმაფრენას პოულობდნენ თავიანთ წარმოსახვაში, არამედ ნამდვილი შოთა, ბრძენი და ტანჯვა-წამებისგან გაცისკროვნებული, რომლის სახე იერუსალიმის ტაძრის ფრესკამ შემოგვიანა. ბერს თავი მდაბლად დაუკარი. მას სრულიად არ გაკვირვებია ჩემი მისალმება და ნელა გაცურა იმ ვარდების ტალღებში, სასწაულომქმედი ობის შემქმნელების პატივსაცემად რომ დარგეს. – ვინ არის? – მკითხა ჩემმა ვაჟმა. – არ ვიცი, – ვუპასუხე მე. ...ოთხმოცი წლის წინ შოთას ფრესკა იერუსალიმის მონასტერში ნახა ახალგაზრდა ინგლისელი – დიპლომატმა და რომანტიკოსმა ოლივერ უორდროპმა. ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ იგი ამ შეხვედრის შესახებ წერდა: „ვიცილი კი

ლის თარგმანი“. ამავე თარგმანში შოთაგონ კონსტანტინ ბალმონტი. ოკეანისა და კანარის კუნძულების ხილვით აღფრთოვანებული, გემბანზე მდგომი, გემისა, რომელსაც ქალღმერთ ათენას სახელი ერქვა, ბალმონტი კითხულობდა მარჯორის თარგმანს, მოგვიანებით კი თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: პირველი შთაბეჭდილების დაეწევა შეუძლებელიაო. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მარჯორიმ საქართველო და „ვეფხისტყაოსანი“ ერთი ნახვით შეივარა. ისინი შეუვარდა პირველი სიტყვის გაგონებისთანავე, მისამამ „სილამაზის, ღვინისა და სიმღერების ქვეყანაში“ მოგზაურობის მერე რომ წარმოთქვა. მარჯორიმ დაიწყო ქართული ენის გრამატიკის შესწავლა სახელგანთქმული მარი ბროსეს წიგნითა და ბიბლიის მეშვეობით. მალევე სრულყოფილად აითვისა ენა. წერილი, რომლითაც მან

ლიოთეკაში – ინგლისში უძველეს და ბრიტანეთის მუზეუმის შემდეგ ყველაზე დიდ ბიბლიოთეკაში. ორ მილიონზე მეტი ტომი თარგმანზეა ჩამორიგებული, ძველგვიანდელი პაპირუსებიც და პირველი ხელნაწერიც „სიმღერისა როლანდზე“. ზომ გითხარით, არდადეგების პერიოდი იყო და მათი პოვნა, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ბიბლიოთეკის საგანძურზე, არც ისე იოლი იყო. მაგრამ გამიმართლა და უორდროპების ფონდის მზრუნველთა დახმარებით მივაგენი აღმოსავლური ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელ დევიდ ბარნეტს. მე ორგზის გამიმართლა. დევიდი ქართულს სწავლობს, მაგრამ ერთხელაც არ დალაპარაკებია მას, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია. მოკლედ თუ ვიტყვი, სწრაფად შევეწყვეთ ერთმანეთს, თუმცა მანამდე ვისადილეთ უძველეს სტუდენტურ ტავერნაში, რომელშიც აგვისტოს ბოლო დღეებში ჩვენ გარდა არავინ იყო.

„ნებადართული თბილისის ციხეურის მიერ 1887 წლის 20 მარტს“, გრიგოლ ჩარკვიანის დაბეჭდილი მისსავე სტამბაში. რატომ? ამაზე ოდნავ მოგვიანებით ვიტყვი. შემდეგ შევარჩიე ჟურნალ „ოპოზიციის“ ხელნაწერი ჟურნალი, რომელსაც ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეები გამოცემდნენ, და უორდროპების საქართველოში მოგზაურობასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებულო.



მარჯორი და ოლივერ უორდროპების ძველი თბილისში

ლიველივებს იმ ოქსფორდელ მეცნიერთა პატივსაცემად დარგული, პენიცილინის სამკურნალო თვისებები რომ აღმოაჩინეს. – მამა, შეხედე: ჯადოქარი! – წამოივივრა ჩემმა უმცროსმა ვაჟმა, ხელი მტაცა და მიმატრიალა. ის, რაც დაეინახე, მართლაც ჯადოქრობა იყო. წითელი ვარდების ტალღებში დიადად მოცურავდა თეთრი ქიტონით შემოსილი ბერი. ეხურა მწვანე ქუდი – მონომახის ფორმისა. მოვლილი შავი წვერი კიდევ უფრო გამოკვეთდა სახის ნაკეთებს – მკაცრს, სრულყოფილს, კეთილშობილს. აუჩქარებლად მოძრაობდა, რაღაცაზე ესაუბრებოდა მის უკან ცუნცულით მომაველ პატარა ზანგის ბიჭს – მურილიოს ცნობილი ბიჭუნებიდან ერთ-ერთს. როცა გაეუწივრდით, ჯადოქრობის შეგრძობა კიდევ უფრო გამომიფრდა. ბერში შოთა რუსთაველი ამოვიცანი, დიდებული შოთა! მეფის კარის კოპწია მენესტრული კი არა, თავზე ბუმბულიანი ქუდითა და ბუტაფორიული გრავნილით ხელში, როგორადაც წარმოადგენდნენ მას

მამინ, რა დიდ როლს შეასრულებდა შოთაჩემს ცხოვრებაში? რომ მისი კოეპით მოგვიცილი სიამოვნება ჩემი ცხოვრებიდან განდევნიდა ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს? რომ ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანი უანგაროდ გაიღებდა ყველაფერს, რათა რუსთაველის პოეზიის ბრწყინვალეობა ინგლისელ მკითხველამდე მიეტანა? – მას ადამიანი იყო უორდროპის და – მარჯორი. ის 1909 წელს ბუქარესტში გარდაიცვალა და მშობლიურ კენტში „შვიდ მუხასთან“ დაკრძალეს. მაგრამ მისი გული და სიყვარული შორეულ საქართველოში დარჩა. ამ სიყვარულს „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია. გარდაცვალებამდე თითქმის თვრამეტი წელი თარგმნიდა რუსთაველისეულ შაირებს შექსპირის ენაზე და ვერ მოესწრო თავისი ცხოვრების ნაღვანის წინადაცამოცემას. 1912 წელს დაიბეჭდა. ამ თარგმანით იზრდებოდნენ სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეები, მათი პატრიარქი – ნიკო მარიც კი კმაყოფილი იყო „საგრაფო კენტში მცხოვრები ინგლისელი ქა-

ილია ჭავჭავაძის სთხოვა ნებართვა ეთარგმნა მისი „განდევნილი“, ილიამ უორნალ „ივერიამში“ გამოაქვეყნა, როგორც ქართული პროზის ნიმუში! ასეთი საწაულის მოხდენა, რასაკვირველია, არც მარი ბროსეს გრამატიკას შეეძლო, არც ბიბლიას. ამის საფუძველი სიყვარული იყო. არც იმის თქმა შეიძლება, რომ მარჯორის საქართველო და ვეფხისტყაოსანი“ უყვარდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ამ სიყვარულმა „შვიდ მუხასთან“ დაკრძალული მოხიბლული სულის სიკვდილსაც აჯობა. საქმე მხოლოდ დიდი შოთას პოემის ინგლისური თარგმანი როდია, რომელიც მან დაგვიტოვა, – თუმცა ესეც სავესებით საკმარისი იქნებოდა. და-მამა ოქსფორდში დაარსეს ქართული ლიტერატურის ფონდი და უანდერპეს სოლიდური თანხა „იმ ახალგაზრდების წასახლისებლად, რომლებიც რუსთაველის ენის შესწავლას მოინდომებენ“. ამ ფონდის ნახვა რუსთაველის 800 წლისთავთან დაკავშირებით – ასეთი იყო ოქსფორდში ჩემი ჩამოსვლის მიზანი. ფონდი ბოდლის ბიბ-

დევიდმა მხოლოდ მისთვის ცნობილი კატაკომბებით მიმიყვანა წიგნსაცავის წინდათაწმინდა ადგილას, სადაც საუკუნის მტკრით დაფარული კაცობრიობის სიბრძნის კვინტესენცია განისვენებს. ყოველი მხრიდან ცლუნებები მიტევენენ (მაგალითად, ბაირონისა და შელის უბის წიგნაკები), მაგრამ გმირულად მივადწიე რუსთაველის თაროს და სულ მალე გადავეშვი თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქაში. ხელნაწერებისა და წიგნების კატალოგიც კი მძიმე ფოლიანტი იყო და თავისი მრისხანე შესახედაობით მაფრთხილებდა, ძირითად საქმეს არ მოვეწყვეტოდი. იმ ადამიანის მდგომარეობაში აღმოვიჩინე, განძეულით სავსე გამოკვებულში რომ აღმოჩნდება და არ იცის, რა აილოს, უპირატესობა რას მინიჭოს. დევიდის ხმამ გამომაფხიზლა: – ჩვენი ბიბლიოთეკის წესების თანახმად, შეგიძლიათ ერთდროულად სამი ტომი აიღოთ. შეარჩიეთ! ო, არჩევანის ტანტალოსის ტანჯვა! სურვილის ცნობილი სურათის უფლისწულის მსგავსად, დავედიოდი პატარა-წიგნების წინ, ვიტანჯებოდი და ვზარობდი. ჩემ თვალწინ იყო „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემა, ვახტანგისეული პირველი გამოცემისა და პოემის ხელნაწერის გარდა, რომელთაგან უძველესი XVII საუკუნით არის დათარიღებული. სატიტულო ფურცელზე არსებული წარწერა გვამცნობს, რომ წიგნი, ქართული ტრადიციის თანახმად, მზითვეში ერგო ვინმე კლდაშვილს. თუმცა მე ვარჩიე რუსთაველის პოემის ყველაზე ცუდი გამოცემა

– ახლა კი მისტერ ჩემპენტან წავიდეთ, – კვლავ გაისმა დევიდის ხმა. – ჩვენი ბიბლიოთეკის წვერი უნდა გახდეთ, თორემ მეც კი ვერ გაგატანთ ამ წიგნებს. ისევ გავიარეთ კატაკომბები და წიგნსაცავის ძველისძველ დარბაზებში ავედით. ქვის კედლებში ჩამაგრებულ მუხის მუქი ფერის თაროების გასწვრივ იდგნენ შუასაუკუნეების ხანის გიგანტური ფოლიანტები. 1761 წლამდე წიგნები კედლებზე ჯაჭვით იყო დაბმული, რომ „არ მოეპარათ“, და სტუდენტები ისხდნენ მოუხერხებლად ხის სკამებზე, რომლებიც მოგვიანებით „ვიინტორის სავარძლებით“ ჩაანაცვლეს. ჭერი მოხატული იყო ათასნაირი ლათინური გამონათქვამით. ასე რომ, ჭერში ყურების დროსაც კი შეგეძლოთ სწავლა. მისტერ ჩემპენი, რომლის თანამდებობის დახასიათება ორიოდ სიტყვით მიჭირს, უკვე გველოდა. ძველმოდური სათვალთი, გამტკნარებული სახით, კითხვის ნიშანივით მოხრილი, თითქოს უხილავი ჯაჭვით იყო მიბმული წიგნსაცავის კედელზე და მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა. ჩურჩულით მივესალმეთ ერთმანეთს. შემდეგ მომცა ფორმულია შესავსებად და მთხოვა შუმიან ჩარჩოში ჩასმული ტექსტის წაკითხვა. – არა, თქვენთვის ნუ კითხულობთ, ხმამაღლა წაკითხეთ, – დასძინა მან. და აი, ლათინური სიბრძნეებით დამშვენებულ თაღებქვეშ, შუასაუკუნეობრივი დიდი სიბრძნით სავსე კედლებში დავედ ფიცი – არ დავეჯავ! სურვილის ცნობილი სურათის უფლისწულის მსგავსად, დავედიოდი პატარა-წიგნების წინ, ვიტანჯებოდი და ვზარობდი. ჩემ თვალწინ იყო „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემა, ვახტანგისეული პირველი გამოცემისა და პოემის ხელნაწერის გარდა, რომელთაგან უძველესი XVII საუკუნით არის დათარიღებული. სატიტულო ფურცელზე არსებული წარწერა გვამცნობს, რომ წიგნი, ქართული ტრადიციის თანახმად, მზითვეში ერგო ვინმე კლდაშვილს. თუმცა მე ვარჩიე რუსთაველის პოემის ყველაზე ცუდი გამოცემა

ოქსფორდიცა და ინგლისიც მალევე მიმავიწყდა.

ჩემ წინ იდო „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე სამინელი გამოცემა, ბაწრით ჯვარედინად შეკრული. ოლივერ უორდროპის ხელით გაკეთებული წარწერა გვამცნობდა: „ქალბატონ უორდროპის პირადი ეგზემპლარი. წიგნში შემონახულია გამომხმარი ყვეალები, რომლებსაც მარჯორი საქართველოში ცხოვრების დროს კრეფდა. ძალიან გთხოვთ – ნუ მისცემთ წიგნს მკითხველს, თუკი საამისოდ განსაკუთრებული მიზეზი არ იქნება“ (ქართული საბჭოთა ფურნალისტის სურვილი, დაეწერა უორდროპების ფონდის შესახებ რუსთაველის 800 წლისთავთან დაკავშირებით, სწორედ ასეთ გამოცხადებას მიიჩნევს).

გვითხულობ „ვეფხის ტყაოსანს“, რომლის თითოეულ გვერდზე დაწებებულია ცარიელი ფურცლები, რომლებზეც მარჯორი თარგმანის პირველ კონტურებს ქარავადა. ლურჯი მელნით ხაზგასმულია რუსთაველის უკვდავი აფორიზმები,

ცვლიანი შაირის საიდუმლოებებს, – კიდევ ერთხელ გავიფიქრე, როცა ვფურცლავდი უნიკალურ ეგზემპლარს, ტიპოგრაფიული ფურცლების, თეთრი ქაღალდისა და ყვავილებისგან შეკერილს. – ამ გმირობის სათავე სიყვარული იყო.

და საქართველო სიყვარულითვე პასუხობდა გოგონას ბრიტანეთიდან – შორეული საგრაფო კენტის მკვიდრს. იგი ბევრს მოგზაურობდა, იყო იტალიაში, საფრანგეთში, აფრიკაში, ჰაიტიზეც კი, მაგრამ თავისი გული ივერიას უძღვნა.

ივერია. მარჯორიმ ფეხის დადგამაც ვერ მოასწრო ქართულ მიწაზე, რომ რამდენიმე უცნობმა ჭაბუკმა, ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეებმა, მალულად გადასცეს თავიანთი ხელნაწერი ფურნალი „ოპოზიცია“. ეს იყო ნდობისა და აღიარების ამადლეველები ნიშანი. აკიაფებული ჩირაღდნის ფონზე წერია სამი სიტყვა: „თავისუფლება. სიყვარული. განათლება“. ოდნავ ქვემოთ სხვა სამუელა: „ერთობა, ძმობა. ამხანაგობა“. და მერე მიძღვნა: „მეორეფას

დასასრულ, ჩემი შერჩეული სამუელიდან ბოლო ხელნაწერი: ქართველთა მშობის წერ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ადრესი, სახელგანთქმული მხატვრისა და მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ხელით გაფორმებული და იმდროინდელი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების ხელმოწერებით. ადრესი ოლივერ უორდროპს მისი დის გარდაცვალების შემდეგ გაუგზავნეს. ეს არის უზარმაზარი ვაჭმანი, რომელზეც დახატულია საქართველოს მთები, ამომავალი (ჩამავალი?) მზე და ჯვრის მონასტერი. მასში ლაპარაკია შორეული ალბიონის შეილებზე, რომლებიც ბედმა საქართველოსთან დააკავშირა, იმ ურთიერთსიმამათის პირველ ნაპერწკალზე, რომელიც იღია ჭავჭავაძის მეშვეობით სიყვარულად და მეგობრობად აინთო.

საზოგადოების თავმჯდომარის გრიგოლ ვაზბეგის კალიგრაფიული ხელწერა: „პატარა ერები, ისევე როგორც მოკრძალებული ადამიანები, მეგობრების მიმართ დიდი გრძობას ავლენენ. მეგობრობის ცეცხლი ანათებს ჩვენს გულს, მაგრამ არ წვავს. მეგობრობა – ქართველი ხალხის ანდერძი და სიმბოლო, რომელმაც დედის რძესთან და სისხლთან ერთად შეისისხლბორცა აზრი მეგობრობის ნაღდი გრძობის შესახებ – ეს არის სრული თავდავიწყება, ეს არის ცხოვრება სხვებისთვის. ეს იღია სრულყოფილებით არის განსხულებული რუსთაველის ნაწარმოებში“.

და შემდგომ: „ბატონო ოლივერ! თქვენი მეგობრობა, რომელმაც გულები გაგვითბო, და თქვენი დის ნათელი ხსოვნა – ჩვენი საზოგადოების წვერისა, რომლის პორტრეტი ამშვენებს მის მოკრძალებულ ნაგებობას, გვძენს სითამამეს მოგმართოთ თხოვნით – საჩუქრად მიიღოთ ქართველი ხალხის გენიის შოთა რუსთაველის პოემა, რომელშიც აღმოაჩენთ მეგობრობის მაღალ იდელებს. ისინი დღემდე ქართველი ხალხის გულებშია შემონახული...“

გაისმა ზარების ტრადიციული რეკვის ხმა, რომელიც ბიბლიოთეკის დაკეტვას გვამცნობს. მაღალი ფაჯრების მიღმა ბინდი ჩამოწვა. უკანასკნელად თვალი მოვაღვე ძვირფას მანუსკრიპტებს. ჯვარედინად ბაწრით შეკარი გამომარევილებიანი მარჯორის პირადი ეგზემპლარი, გაუღვიძე ქუთაისელი გიმნაზისტების ფურნალს და მკერდში ჩავიხუტე ადრესი-მელოცვა მეგობრობის შესახებ.

– შეგინახოთ? – მკითხა ხანშიშესულმა ბიბლიოთეკარმა ქალმა.

– არა, მე უკვე შეგინახე. გაოცებულმა შემომხედა, არაფერი უთქვამს.

...დღით კი, ოქსფორდიდან გამოგზავრებად, კვლავ დავეშვიტ ბოტანიკური ბაღის სწორედ იმ ადგილისკენ, სადაც ვარდების ზღვა დღევლივებს იმ ოქსფორდელ მეცნიერთა პატივსაცემად დარგული, ობის სამკურნალო თვისებები რომ აღმოაჩინეს. გუშინდელივით, წითელი ვარდების ტალღებში დიადად მიცურავდა თეთრი ქიტონით შემოსილი ბერი. ჩემმა ვაჟმა, რომელსაც მთელი გზა ბოდილის ბიბლიოთეკის ხელნაწერებზე ვუაბობდი, თვალი მოჰკრა თუ არა მას, იღუმალი ხმით მიჩურჩულა:

– მამა, მე ვიცი, ვინ არის ეს ჯადოქარი. შოთა რუსთაველია.

– რა თქმა უნდა, სხვა ვინ იქნება, – ვუპასუხე მე, როცა იერუსალიმის ტაძრის გაცოცხლებულ ფრესკას თვალებით ვაცილებდი.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტანტია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მიშარინა კვლივილი**.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



– ვარ სასამართლოში სამოქალაქო საქმეზე მოწმედ გამოძახებული. არ გამაჩნია თანხები სასამართლოში გამოსაცხადებლად. შემიძლია თუ არა, ამ მიზეზით უარი ვთქვა სასამართლოში გამოცხადებაზე?

– პირველ რიგში განვიმარტავთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. მოწმის სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი დაჯარიმდება 50 ლარით. სასამართლო შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

რაც შეეხება ხარჯებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოწმის უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს გამოძახებას სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

– ვინ ითვლება კერძო სამართლის სუბიექტად?

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

– როგორ მოხდება პირის უგზო-უკვლოდ აღიარება სამართლებრივად?

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლი არეგულირებს თქვენთვის საინტერესო საკითხს. სრულყოფილებისათვის წარმოგიდგინებ აღნიშნული მუხლის შინაარსს მთლიანად.

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი

ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვლოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალეები.


2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი

ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მუხრნეობის სათანადო გაძლივით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

– ერთ-ერთ ფირმასთან ჩემმა საწარმომ დალო რამდენიმე ხელშეკრულება კონდიციონერების მიწოდებისა და დამონტაჟების შესახებ. ჩვენმა მხარემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულა დროულად და ხარისხიანად. მეორე მხარემ ძირითადი თანხის მხოლოდ ნაწილი გადახადა, ვადაცადაცილებული დღეებისათვის კი კი ხელშეკრულებით დადგენილი პროცენტები, საერთოდ, არ გადაუხდია. მათი ვალი საგრძნობლად გაიზარდა. რა პერსპექტივაა შექნება სასამართლოში, ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილი და პროცენტები რომ მოვითხოვო?

– თუ დოკუმენტაცია წესრიგში გაქვთ, ანუ სათანადო მტკიცებულებები სახეზეა, პროცესის მოიგებთ, მათ შორის პროცენტის გადახდის საკითხშიც, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც უფლად თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძველიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

აქვე გეტყვით, რომ თუ პროცენტმა შეუსაბამოდ დიდ თანხას მიაღწია ან პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან გამოიკვეთა რაიმე სახის განსაკუთრებული გარემოებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.



წითლით – გამომცემელ ჩარკვიანის უმცირესი შეცდომები. ასეა ყოველთვის – თითოეულს თავისი...

და თითქმის ყოველ მეორე გვერდზე – ჩემი სამშობლოს ყვავილები – ვარდები, იები, იასმენები. ზოგი მოწყვეტილია ალაზნის ველზე, სხვები – კავკასიის მთებში. მის გამჭვირვალე ფურცლებში მოჩანს დიდებული თქმულების სიტყვები სიყვარულსა და მეგობრობაზე, სიკეთეზე, ბოროტებას რომ ამარცხებს, სიცოცხლეზე, სიკვდილს რომ თრგუნავს. და მკვდარი ყვავილები ცოცხლდებიან – „ვეფხისტყაოსნის“ ფურცლებს დასტრიალებს მათი სურნელი, ნესტანის გულის ვარდის სურნელი, თინათინის მსხვილი ნაწნავების იის სურნელი. და ბოლოს, ყველაზე მთავარი – მშობლიური მიწის სუნი, რომელმაც შობა ეს ყვავილები და „რუსთაველი მესხი-მელექის“ გმირობა.

– არა, არც გრამატიკა და არც ბიბლია არ ეზმარებოდა მარჯორის, ჩასწვდომდა შოთას თექვსმეტმარ-

ყველაზე გაემორჩეული ქალბატონები დღეისათვის



ერთ-ერთი ასეთი არაჩვეულებრივი არსება ყველაზე მაღალი ქალია მთელ პლანეტაზე. იტალიელი **იარო დეფენი**, რომელიც 1972 წელს დაიბადა, ყველაზე მაღალ ქალად ითვლება გინესის რეკორდების წიგნში დაფიქსირებულ შემთხვევებში.

მისი სიმაღლე 2 მეტრი და 33 სანტიმეტრია. წონით ის 180 კგ-ია. საინტერესოა, რომ ჩინური წარმოშობის მისი მშობლები საშუალო სიმაღლისანი იყვნენ — სულ რაღაც 160 სმ.

იარო დეფენის სიმაღლე მის თავის ტვინში არსებულმა სიმსივნემ და ჰიპოფიზის დაზიანებამ განაპირობა. ის ზრდას არ წყვეტდა, სანამ 2000 წელს ოპერაცია არ გაუკეთეს.

სამწუხაროდ, 2013 წელს ყველაზე მაღალი ქალი მსოფლიოში გარდაიცვალა.



მაგრამ თუ არსებობს ყველაზე მაღალი ქალი, აუცილებლად იქნება ყველაზე დაბალიც. მას **იოტი ავაი** ჰქვია და 1993 წელსაა დაბადებული. ის ინდური კინოს მსახიობია. იოტი ამგე გინესის რეკორდების წიგნში სწორედ იმის გამო მოხვდა, რომ ყველაზე პატარა ქალია მსოფლიოში.

18 წლის ასაკში იოტი 62 სმ და 8 მმ იყო, წონით მხოლოდ 5 კგ და 200 გრ.

მისი სიდაბლეც დაავადებად ითვლება და ამ დაავადებას ახონდრაპლაზია ჰქვია.

თუმცა არსებობს ქალი, რომელსაც უზარმაზარი ფეხები აქვს. **მენდი სელმერსი** ინგლისელია. ის 1975 წელს დაიბადა და მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე



იშვიათი დაავადების მქონედ ითვლება. ამ დაავადებას პროტეის სინდრომი ეწოდება. პროტეის სინდრომისგან მოჰკვეთეს ფეხები მენდის 2010 წელს, თუმცა ის ისევ გაიზარდა და თავდაპირველი ფორმა მიიღო.

მსოფლიოში არსებობს, ასევე, ყველაზე წვრილწელიანი ქალბატონიც. **ჰიტი იუნგს** ყველაზე წვრილი წელი აქვს მსოფლიოში. მისი წელი სულ რაღაც 38 სმ-ია. ყოველივე ეს კი კორსეტის დამსახურებაა, რომელიც ქალბატონმა 22 წლისამ ჩაიცვა და მერე არც გაუხდია. მიუხედავად იმისა, რომ ქვით იუნგი ახლა 77 წლისაა, ის აბსოლუტურად ჯანმრთელია. ამას ადასტურებს მისი ქირურგი მეუღლეც.

უცნაურია, მაგრამ არსებობს ქალი, რომელსაც ყველაზე გრძელი თმა აქვს მსოფლიოში. 47 წლის ამერიკელ **ავა მანდელას**

არასდროს არ შეუჭრია თმა. ახლა მისი თმები 16 მეტრი და 70 სმ-ია და ყველაზე გრძელ თმად ითვლება მსოფლიოში. ამას თმები 19 კგ-ს იწონის.

განსაკუთრებით მამაკაცებს დააინტერესებთ, რომ არსებობს ქალი, რომელსაც ყველაზე ფართო თეძოები აქვს. 40 წლის ამერიკელი **მიკელ რუფინელი** მსოფლიოში ცნობილი სწორედ თავისი ფართო თეძოებით გახდა. მისი თეძოს გარშემოწერილობა 2 მ და 50 სმ-ია. მიკელი წონით 190 კგ-ია, სიმაღლით — 160 სმ, ხოლო თეძოები მას 100 სმ აქვს.

მსოფლიოში არსებობს არაჩვეულებრივი ქალი-ვამპირიც. 35 წლის მექსიკელი **მარია ხოსე პრისტინა** ცნობილია, როგორც ქალი-ვამპირი. ის დაიბადა და გაიზარდა მორწმუნე კათოლიკეთა ოჯახში. 17 წლისა დაქორწინდა, მაგრამ როცა ოჯახური მდგომარეობა გაურთულდა, მარიამ გადაწყვიტა, ნელ-ნელა ვამპირად ქცულიყო. ის ამ გზით ცდილობდა პრობლემებისგან თავის დაღწევას.

მარია დღეს 4 შვილის დედაა. პროფესიით ადვოკატია, კითხულობს ლექციებს ძალადობის წინააღმდეგ და მონაწილეობას იღებს პირსინგისა და ბოდიართის გამოფენებში.

ყველაზე ხანდაზმული ქალი მსოფლიოში **შანა ლუიზა კალმანია**. ეს ფრანგი ქალბატონი ყველაზე ხანდაზმულ ქალად ითვლება დედამიწაზე მცხოვრებ ჩვეულებრივ ადამიანებს შორის.

შანა 1885 წლის თებერვალში დაიბადა და 1997



წლის აგვისტოში გარდაიცვალა. მან 122 წელი და 164 დღე იცოცხლა.

მართლაც საოცრებაა ქალი ყველაზე დიდი ხელოვნური მკერდით. გერმანელი **მარია ჰილსი** ყველაზე დიდ ხელოვნურმკერდიან ქალად ითვლება მსოფლიოში. მის მკერდში 20 ლიტრი სილიკონია, რომელიც 15 კგ-ს იწონის. მკერდის გარშემოწერილობა 140 სმ-ია მაშინ, როცა წელი 71 სმ აქვს, ხოლო თეძოები — 91 სმ. სხვათა შორის უკანალიც და ტუჩებიც სილიკონით აქვს „გამშვენებული“.

ალბათ, არ იცოდით, რომ არსებობს ცოცხალი ბარბი. **ვალერია ლუკიანოვა**, რომელიც 1985 წელს დაიბადა, ცნობილია, როგორც ოდესელი ბარბი. მსოფლიოში ის ცნობილი გახდა იმით, რომ ძალიან ჰგავს თოჯინა ბარბის. გარეგნული ეფექტის გასაძლიერებლად, ვალერია კონტაქტურ ლინზებსა და სპეციალურ მაკიჟაჟს იკეთებს.

მოამზადა ანა მალაქოვრიამ 568 97 61 60



ISSN 2233-3983



9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალი“ სტამბაში. ავლაპის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com